8677

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი 24 ივნისი 1941 წ. № 147 (6152) ფასი 15 კაპ.

...ახლა მთელი ჩვენი ხალხი ისე მჭიდროდ დარაზმული და ერთიანი უნდა იყოს, როგორც არასოდეს არ ყოფილა. თვითეულმა ჩვენგანმა თავისთავს და სხვებს უნდა მოსთხოვოს დისციპლინა, ორგანიზებულობა, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტის შესაფერი თავგანწირვა, რათა უზრუნველვყოთ წითელი არმიის, ფლოტისა და ავიაციის მთელი საჭიროება, რათა უზრუნველვყოთ მტერზე გამარჯვება.

ვ. მოლოტოვი

მტერი განადგურებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც გრანიტივით მტკიცედ არის დარაზმული **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის, მშობლიური დიდი **სტალინის** გარშემო, უდიდესი აღშფოთებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ 22 ივნისს, ღამით, გერმანელმა პირსისხლიანმა ფაშისტებმა, საბჭოთა მთავრობისათვის რაიმე პრეტენზიის წარუდგენლად, მუხანათურად მოახდინეს გაუგონარი თავდასხმა ჩვენს დიად, უძლეველ სამშობლოზე. ეს არის ავაზაკური, ყაჩაღური თავდასხმა, რომლის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ გერმანიის გამხეცებულ ფაშისტურ მმართველებს.

სოციალიზმის ძლევამოსილი ქვეყნის თავისუფალი ხალხების წინააღმდეგ ფაშისტი გარეწრების ამ მზაკვრულ ლაშქრობას ჩვენი ქვეყანა პასუხს აძლევს გამანადგურებელი დარტყმით, რომელიც პირისაგან მიწისა აღგვის შუასაუკუნეობრივი ბნელეთის, ბარბაროსობისა და ჯოჯოხეთის მოციქულებს, გაცოფებულ ძაღლებს — გერმანიის ბანდიტ ფაშისტებს.

როგორც ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა რადიოთი წარმოთქმულ თავის სიტყვაში აღნიშნა, მთელმა მსოფლიომ კარგად იცის, რომ „ეს ომი ჩვენ თავზე მოგვახვია არა გერმანელმა ხალხმა, არა გერმანელმა მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ, რომელთა ტანჯვაც ჩვენ კარგად გვესმის, არამედ გერმანიის პირსისხლიან ფაშისტ მმართველთა ხროვამ, რომლებმაც დაიმონეს ფრანგები, ჩეხები, პოლონელები, სერბები, ნორვეგია, ბელგია, დანია, ჰოლანდია, საბერძნეთი და სხვა ხალხები".

დიდი და განუზომელია მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის აღშფოთება და გულისწყრომა ფაშისტი აგრესორების საზიზღარი მოქმედების გამო. საბჭოთა ხალხმა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში არაერთხელ ჩასწერა გასაოცარი გმირობის, ამტანობის, ოსტატური ბრძოლის მარად უკვდავი ფურცლები, კარგად იცის რა დაიცვას, რით დაიცვას და როგორ დაიცვას. ჩვენს ქვეყანას არაერთხელ შემოსევია მტრის ურდოები, უცხოელი თავდამსხმელები, მაგრამ ყოველთვის სასახელოდ დაუმარცხებია იგი, განუდევნია ჩვენი წმინდათა-წმინდა მიწა-წყლიდან და ისტორიული გამარჯვებები მოუპოვებია. ასე იყო ალექსანდრე ნეველის ეპოქაში, ასე იყო მინინისა და პოჟარსკის დროს, ასე დამარცხდა ნაპოლეონი, ასე გაიმარჯვა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანამ თავით ფეხამდე შეიარაღებული 14 იმპერიალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში სამოქალაქო ომის დროს, როცა ჩვენ მრავალი დაბრკოლება გვეღობებოდა წინ.

დღეს კი საბჭოთა კავშირის ხალხები უძლეველ ძალად არიან გაერთიანებულნი, ისინი მჭიდროდ არიან დარაზმულნი ჩვენი დიადი ბოლშევიკური პარტიის, ბრძენი **სტალინის** გარშემო, მათ ჰყავთ ბრძოლაში უშიშარი და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული მძლავრი წითელი არმია, ფლოტი, ავიაცია, რომელმაც არაერთხელ ასახელა საბჭოთა იარაღის ძალა, გვიჩვენა სოციალისტური სამშობლოსათვის საბჭოთა ადამიანების გმირული თავდადება.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა უძლეველია, ასევე უძლეველია ჩვენი ხალხის მაღალი პატრიოტული შეგნება, მისი თავდადება და სიყვარული სამშობლოსადმი, დიდი **სტალინისადმი**.

მრავალრიცხოვან მიტინგებსა და კრებებზე, რომლებიც მთელ საბჭოთა კავშირში უდიდესი პატრიოტული აღმავლობით ტარდება, ჩვენი ქვეყნის მშრომელები — მუშები, გლეხები, ინტელიგენცია გამოდიან თავიანთი მოვალეობის ღრმა შეგნებით, ისინი მოხალისეებად ეწერებიან წითელი არმიის რიგებში, ერთსულოვნად აცხადებენ მზადყოფნას თავი დასდონ სოციალისტური სამშობლოსათვის, მოსპონ და გაანადგურონ ვერაგი მტერი; გაასკეცებული ენერგიით იმუშაონ, რათა უზრუნველჰყონ წითელი არმიის, ფლოტის, ავიაციის საჭიროება.

მტერი გასრესილი და მოსპობილი იქნება.

ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ გვხელმძღვანელობს ბრძოლებში უშიშარი **ლენინ-სტალინის** დიადი პარტია, ხალხთა ბრძენი ბელადი დიდი **სტალინი**.

ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ გვყავს გმირული წითელი არმია, ფლოტი, ავიაცია თავისი სახელოვანი კადრებით.

ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ჩვენი საქმე სამართლიანია.

დისციპლინა, ორგანიზებულობა, თავგანწირვა! — აი რა უნდა ახასიათებდეს თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს ამ უაღრესად გადამწყვეტ მომენტში, პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის სასახელო გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის დაძახილზე წინ, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, ვერაგი მტრის აღსაგველად!

ძირს გერმანიის პირსისხლიანი ფაშისტი ბანდიტები, სიკვდილი და საბოლოო განადგურება მათ!

გაუმარჯოს ბოლშევიკების ძლევამოსილ პარტიას, მძლავრ საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს, ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს!**

სამშობლოსათვის, სტალინისათვის, წინ!

წითელი არმიის მთავარი სარდლობის ცნობა

1941 წლის 23 ივნისისათვის

დღის განმავლობაში მტერი ცდილობდა განევითარებინა შეტევა მთელ ფრონტზე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, მთავარ ძალღონეს მიმართავდა რა შაულის, კაუნასის, გროდნო-ვოლკოვსკის, კობრინის, ვლადიმირ-ვოლინის, რავა-რუსკაიას და ბროდის მიმართულებებით, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია.

მტრის ყველა იერიში ვლადიმირ-ვოლინის და ბროდის მიმართულებებით უკუგდებულ იქნა, ამასთან მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა. შაულის და რავა-რუსკაიას მიმართულებებით მტერი, რომელიც დილიდანვე შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე, დღის მეორე ნახევარში ჩვენი ჯარების კონტრიერიშებით დამარცხდა და უკუგდებულ იქნა სახელმწიფო საზღვარს იქით, ამასთან შაულის მიმართულებით ჩვენი საარტილერიო ცეცხლით მოსპობილია მტრის 300-მდე ტანკი.

ბელოსტოკისა და ბრესტის მიმართულებებით გაფთრებული ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგემ შესძლო შეევიწროვებინა ჩვენი მცველი ნაწილები და დაეკავებინა კოლნო, ლომჟა და ბრესტი.

ჩვენი ავიაცია წარმატებით აწარმოებდა ბრძოლებს, იცავდა მტრის საჰაერო იერიშებისაგან ჯარებს, აეროდრომებს, დასახლებულ პუნქტებს და სამხედრო ობიექტებს და ხელს უწყობდა სახმელეთო ჯარების კონტრიერიშებს. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით დღის განმავლობაში ჩვენს ტერიტორიაზე ჩამოგდებულია მტრის 51 თვითმფრინავი, ხოლო ერთი თვითმფრინავი ჩვენმა გამანადგურებლებმა აიძულეს დაშვებულიყო აეროდრომზე მინსკის რაიონში.

22 და 23 ივნისს ტყვედ წამოვიყვანეთ 5.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

დაზუსტებული ცნობებით 22 ივნისს სულ ჩამოგდებულ იქნა მტრის 76 თვითმფრინავი და არა 65, როგორც ეს ნაჩვენები იყო წითელი არმიის მთავარი სარდლობის 1941 წ. 22 ივნისის ცნობაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

23 ივნისს საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის სალექციო დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია.

სესია გახსნა აკადემიკოსმა ა. ჯანელიძემ.

— გერმანიის პირსისხლიან ფაშისტ მმართველთა ხროვამ თავს მოგვახვია ომი, — სთქვა აკადემიკოსმა ა. ჯანელიძემ, — მთელი საბჭოთა ხალხი ერთი კაცივით აღსდგა თავისი დიადი სამშობლოს დასაცავად. გათავხედებული მტერი, რომელმაც ხელჰყო გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის წმინდათაწმინდა საზღვრები, მოსპობილი იქნება. ჩვენ, მეცნიერების მუშაკნი, მზადა ვართ ბოლშევიკური პარტიის, ჩვენი მთავრობის, დიდი სტალინის მოწოდებისთანავე გავილაშქროთ მტრის წინააღმდეგ და დავჯრათ მას.

სესიამ პირველ სხდომაზე მოისმინა ბოტანიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვ. მენაბდის მოხსენება „საქართველოს ხორბლეული და მისი ადგილი ხორბლეულის სისტემაში".

მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. მენაბდე შეჩერდა ხორბლის წარმოშობის ისტორიაზე.

მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. მენაბდემ დაწვრილებით დაახასიათა საქართველოს ხორბლეული, რომელსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

მოხსენების გამო ილაპარაკეს აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა პროფ. ლ. დეკაპრელევიჩმა, დოც. ი. ბახტაძემ, დოც. გ. აბესაძემ და საქართველოს სსრ მიწსახკომის აგროტექნიკური განყოფილების გამგემ ს. მიქაძემ.

აკადემიკოს ა. ჯანელიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესიის სხდომა დაიხურა.

სესიის პირველ სხდომას დაესწრნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. ნ. მუსხელიშვილი, აკადემიკოსები ი. ბერიტაშვილი, ს. ჯანაშია და გ. ახვლედიანი. (საქდესი).

სამშობლოსათვის, დიდი სტალინისათვის!

მთელი საბჭოთა ხალხის მხარდამხარ

გერმანიის ფაშისტი მმართველნი თავს დაესხნენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს — საბჭოთა კავშირს. მათ დაარღვიეს ორ ქვეყანას შორის არსებული ხელშეკრულება და ომის გამოუცხადებლად დაიწყეს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ქალაქების ბომბარდირება.

ომი ჩვენ თავს მოგვახვიეს. ერთმა მუჭა ფაშისტმა ბარბაროსებმა, რომლებმაც დაიმონეს საკუთარი ხალხი და სხვა ხალხები, თავისუფლებისა და პროგრესის მტრებმა დაიწყეს ლაშქრობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მთელი ჩვენი ხალხი — მუშები, მოსამსახურენი, კოლმეურნეები, ინტელიგენცია — გამანადგურებელ პასუხს გასცემს გათავხედებულ მტერს, მოსპობს მას.

ვიცავთ რა საბჭოების ქვეყნის წმინდა მიწა-წყალს, ჩვენ ბარბაროსული შემოსევისაგან ვიფარავთ სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს, მოწინავე მეცნიერებას, პროგრესს, თავისუფლებას. ჩვენ ვებრძვით ფაშისტურ ადამიანთმოძულეობას, ველურ აღვირახსნილ ბარბაროსობას. დღეს საბჭოთა ინტელიგენცია ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, დიდ სტალინს მიმართავს მგზნებარე პატრიოტული გრძნობით და უცხადებს, რომ მზად არის მთელი ძალა, მთელი ცოდნა, ხოლო თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც მოახმაროს სამშობლოს დაცვას.

ამ მრისხანე ჟამს ჩვენ ერთხელ კიდევ ვიგონებთ ჩვენი ხალხის სახელოვანი წარსულის ფურცლებს, სამამულო ომს ნაპოლეონის წინააღმდეგ, ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლის დაუვიწყარ წლებს. არასოდეს ისე ძლიერი, მჭიდროდ დარაზმული, ერთიანი არ ყოფილა ჩვენი ხალხი, როგორც ახლა არის. იგი ძლიერია არა მარტო იმით, რომ გამოსჭედა უძლეველი წითელი არმია, მძლავრი ფლოტი, სტალინური ავიაცია, არამედ აგრეთვე იმით, რომ საქმე, რომლისთვისაც იგი იბრძვის, სამართლიანი საქმეა. ფაშიზმთან ომი — ეს არის ომი ველურობის, შუასაუკუნეობრიობის, ვანდალიზმის წინააღმდეგ.

დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საბჭოთა მეცნიერნი მთელი ხალხის, მამაცი წითელარმიელებისა და წითელფლოტელების მხარდამხარ მიდიან.

ვიბრძოლოთ მოწინავე პროგრესიული კაცობრიობისათვის, სამშობლოსათვის, თავისუფლებისათვის, სტალინისათვის!

სოციალისტური შრომის გმირი აკადემიკოსი **ს. ა. ჩაპლიგინი**, აკადემიკოსი **ვ. ი. ვერნადსკი**, აკადემიკოსი **ვ. გ. ხლოპინი**, აკადემიკოსი **ი. ა. მანანდიანი**, აკადემიკოსი **ვ. ნ. ობრაზცოვი**, აკადემიკოსი **პ. პ. მასლოვი**, აკადემიკოსი **ფ. ა. როტშტეინი**.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი **ხ. ს. კოშტოიანცი**.

ბოლშევიკური ორგანიზებულობისა და დისციპლინისათვის

როდესაც ხალხი რადიოთი ისმენდა ცნობას, რომ გერმანიის ჯარი ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა, მუშტები თავისთავად იკუმშებოდა, გულში ბოროტი და ვერაგი მტრისადმი სიძულვილი ისახებოდა.

საკისარის მე-2 სახელმწიფო ქარხნის ყველა საამქროში სწრაფად მოეწყო მიტინგები.

საავტომატო-სამხეხავო საამქროში მიტინგი გახსნა ქარხნის დირექტორმა ამხ. ლებედინოვმა.

— ეს-ეს არის, — ამბობს იგი, — ამხანაგმა მოლოტოვმა რადიოთი გვაცნობა, რომ გერმანიის თვითმფრინავებმა უმაგალითო თავხედური თავდასხმა მოახდინეს ჩვენს მშვიდობიან ქალაქებზე. ევროპის ხალხების დამპყრობელთა საზიზღარი, პირსისხლიანი ხროვა თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ჩვენი წითელი არმია, ჩვენი სახელოვანი ავიაცია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი ამის საპასუხოდ სასტიკ ლახვარს ჩასცემენ სოციალისტური სამშობლოს საზიზღარ მტრებს. მტერი განადგურებულ იქნება! მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამისათვის ჩვენ უნდა დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები, მოვახმაროთ სამშობლოს მთელი ჩვენი ენერგია, არ დავიზოგოთ თავი.

ვიმუშავებთ გასამკეცებული ენერგიით, ვიმუშავებთ ისე ნაყოფიერად, როგორც არასოდეს, მივცემთ უფრო მეტ და უკეთეს პროდუქციას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს!

აღფრთოვანებით ხვდებიან საბჭოთა ხალხის საყვარელი ბელადის სახელის ხსენებას. მუშები, ინჟინრები, მოსამსახურენი მხურვალე ტაშით მიესალმებიან იმას, ვისი წინამძღოლობითაც საბჭოთა ხალხს არაერთხელ ძლევამოსილად გაუნადგურებია და მომავალშიც გაანადგურებს ყველა მტერს.

გამოდის საავტომატო-სამხეხავო საამქროს უფროსი ამხ. ბელოვი.

— ახლა მთავარია ბოლშევიკური ორგანიზებულობა და დისციპლინა, ბრძანების დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ შესრულება, საწარმოო დავალებათა სანიმუშოდ შესრულება. ამით ჩვენ დახმარებას გავუწევთ წითელ არმიას მის გმირულ ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს მტრებთან. მთელი ჩვენი ძალა მოვახმაროთ საბჭოთა ხალხის წმინდა ბრძოლას ფაშისტურ ბანდიტთა წინააღმდეგ!

მიტინგი დამთავრდა. თვითეული მისი მონაწილე მოვალეობის შეგნებისა და თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობით დგება თავის სამუშაო ადგილზე.

ვიმუშაოთ კიდევ უფრო უკეთ, უფრო ნაყოფიერად, დავეხმაროთ წითელ არმიას საზიზღარი მტრის განადგურებაში — ასეთია ჩვენი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილი. (საკდესი).

ჩვენი საქმე სამართლიანია, იგი გაიმარჯვებს!

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული, ყაჩაღური თავდასხმის ამბავმა მოსკოვის ქარხანა „კალიბრის" მშრომელებში დიდი აღშფოთება გამოიწვია გათავხედებულ ფაშისტურ მმართველთა წინააღმდეგ. როგორც კი მოისმინეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა რადიოთი, ქარხნის საამქროებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები. ერთიანი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურენი აცხადებენ, რომ მათ ურყევად აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი გააკეთონ მტერზე გამარჯვებისათვის.

სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებისა და მისი მტრისადმი სიძულვილის გრძნობით არის გამსჭვალული სტახანოველის, თეთრფინელებთან ბრძოლის მონაწილის ამხ. გრაფკინის სიტყვა.

— მთელი ჩვენი ხალხი, — ამბობს იგი, — ერთი კაცივით გამოვა თავისი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. დიად სამამულო ომში საბჭოთა ადამიანები ერთხელ კიდევ დაანახვებენ მთელ მსოფლიოს, რომ მტერს, რომელმაც ხელი აღმართა სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ, განადგურება და დაღუპვა მოელის. ჩვენი საქმე სამართლიანია, იგი გაიმარჯვებს! თვითეული ჩვენთაგანი მზად არის ყოველ წუთს, პარტიისა და მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე ხელი მოჰკიდოს იარაღს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს. ხოლო აქ, ქარხანაში, ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ საწარმოო დისციპლინას, შევინარჩუნებთ სიმტკიცეს და სიმშვიდეს, ვეცდებით, რაც შეიძლება უფრო კარგად, უფრო ნაყოფიერად ვიმუშაოთ.

— მე მზადა ვარ დაუყოვნებლივ წავიდე ფრონტზე ჩვენი წმინდა საზღვრების დასაცავად, — სთქვა მიტინგზე ოსტატმა, ყოფილმა წითელფლოტელმა ამხ. კოსოვმა. — სოციალიზმის ქვეყნის მეომრები, რომელთა გულში აღბეჭდილია სტალინის სახელი, დაუზოგავად გაანადგურებენ საზიზღარ მტერს და გაიმარჯვებენ!

პარტიულ ბიუროში და ქარხკომში განუწყვეტლივ შემოდის საბჭოთა პატრიოტების განცხადებანი, სადაც ისინი გამოსთქვამენ ფრონტზე წასვლის სურვილს და აცხადებენ, რომ მზად არიან იმუშაონ იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება სსრ კავშირის გმირული წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გამარჯვებისათვის.

ფაშისტი ყაჩაღები სასტიკად აგებენ პასუხს

კიევი, 22 ივნისი (საკდესი). კიევის ასი ათასობით მშრომელმა მოისმინა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა რადიოთი. ფაშისტ ყაჩაღთა ვერაგულმა თავდასხმამ ჩვენს ქვეყანაზე, ჰიტლერის ჯარის მიერ საბჭოთა ქვეყნის წმინდა საზღვრების დარღვევამ აღშფოთება გამოიწვია ხალხის მასებში. კიევის ქარხნებში, ფაბრიკებსა და დაწესებულებებში მიტინგები გაიმართა. მუშები და ინჟინრები, მოსამსახურენი, მეცნიერნი — ყველანი ერთხმად აცხადებენ, რომ მზად არიან გამოვიდნენ საყვარელი სამშობლოს დასაცავად. მათი სიტყვები გაჟღენთილია სიძულვილით ფაშიზმისადმი, საზიზღარი მტრისადმი, რომელმაც გაბედა და ხელი აღმართა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ. მიტინგები გადაიქცა საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრ დემონსტრაციად, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ამხანაგ სტალინის გარშემო მშრომელთა მონოლიტური დარაზმულობის მძლავრ დემონსტრაციად.

მანქანათმშენებელი ქარხნის „ბოლშევიკის" მთელი კოლექტივი შეიკრიბა საამქროთა მიტინგებზე. თუჯსამსხმელო საამქროში სიტყვა წარმოსთქვა ოსტატმა ამხ. მილაშოვმა.

— ჩვენ მოწმენი ვართ მსოფლიოში უმაგალითო ვერაგობისა, — სთქვა მან. — გათავხედებული მტერი თავს დაესხა ჩვენს საზღვრებს, გაბედა სისხლით მოსვრილი თათი აღემართა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. როგორც სჩანს, გერმანელი ფაშისტები ცუდად იცნობენ ისტორიას. მათ დაავიწყდათ, თუ როგორ მოიტეხა კისერი რუსეთის ველებში ნაპოლეონმა, თუ როგორ განადგურებულ იქნენ საბჭოთა უკრაინის ველებში კაიზერის გერმანიის ჯარები და სხვა ოკუპანტები. როგორც სჩანს, ეს გაკვეთილები მათთვის ცოტაა! ჩვენი მამაცი წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, მთელი საბჭოთა ხალხი შესძლებენ აღაგმონ გათავხედებული აგრესორები.

მიტინგებზე გამოსულთა სიტყვებში გაისმოდა გამარჯვების შეუდრეკელი ნებისყოფა, მტკიცე რწმენა საბჭოთა იარაღის ძლევამოსილებისა, მტკიცე რწმენა, რომ მტერი განადგურებულ იქნება.

ხალხმრავალი მიტინგები ჩატარდა სტალინის სახელობისა და „ლენინსკაია კუზნიცის" ქარხანაში, ორდენოსან მანქანათმშენებელ ქარხანაში და უკრაინის დედაქალაქის სხვა საწარმოებში. და ყველგან მრისხანედ გაისმოდა აღშფოთებული ხალხის ხმა, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გაანადგუროს მტერი, რომელმაც ხელი აღმართა სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ.

რაიონულ და საქალაქო სამხედრო კომისარიატებში ათასობით შემოდის განცხადება მუშებისა და საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან, რომელთაც სურს მოხალისედ წავიდნენ ფრონტზე.

საბჭოთა ინტელიგენციის მრისხანე ხმა

სიმფეროპოლი, 22 ივნისი (საკდესი). ყველანი ერთი კაცივით გამოვალთ ჩვენი სამშობლოს დასაცავად, მთელს ჩვენს ძალას მოვახმართ საზიზღარი მტრის განადგურებას, — ეს სიტყვები გაისმის ხალხმრავალ მიტინგებზე ფაბრიკებისა და ქარხნების საამქროებში, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებში, რომლებიც უხვ მოსავალს იძლევიან. გამხეცებულ ფაშისტ ბარბაროსთა წინააღმდეგ მრისხანედ აღიმაღლა ხმა აგრეთვე საბჭოთა ინტელიგენციამ. პროფესორები, ექიმები, სტუდენტები შეიკრიბნენ მიტინგზე სიმფეროპოლის სტალინის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტში.

პროფ. ტარსუევმა, რომელიც ყველა შეკრებილის აზრსა და გრძნობას გამოხატავდა, განაცხადა: — ყოველი ჩვენგანი მზად არის პარტიისა და მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე შევიდეს წითელი არმიის რიგებში. მაგრამ ჩვენს ჩვეულებრივ პოსტზედაც ახლა განსაკუთრებით თავგანწირულად და ორგანიზებულად ვიმუშავებთ, როგორც ამას დღევანდელი ისტორიული მომენტი მოითხოვს. მტერმა გაბედა დაერღვია ჩვენი საზღვრების სიმშვიდე და ამისთვის მას უნდა მივუზღოთ ისეთი სასჯელი, რომელიც საუკუნეებში დარჩება, როგორც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ურყევი ძლიერების ბრწყინვალე საბუთი. ჩვენი ხალხი დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს და ამ გამარჯვებას მოვიპოვებთ!

ნამდვილი ბოლშევიკური სიფხიზლისათვის

მოსკოვის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის „კრასნაია როზას" პირველმა ცვლამ დაამთავრა მუშაობა. მაგრამ შინ არავინ წასულა — ყველანი მიტინგზე შეიკრიბნენ. მიტინგზე გამოსული ამხანაგები ვოინოვა, ტურმოვა, დუდარევი და ბობროვი ლაპარაკობდნენ საბჭოთა ხალხის დიად სამამულო ომზე ფაშისტ პროვოკატორთა წინააღმდეგ.

— ისე, როგორც 1812 წელს, როდესაც გათავხედებული დამპყრობელი ნაპოლეონი დამარცხდა და განდევნილ იქნა რუსეთის ფარგლებიდან, ახლაც ფაშისტური ხროვის მეთაური ჰიტლერი თავის სამარცხვინო აღსასრულს ჰპოვებს მის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებულ ომში. ჩვენი დიადი ხალხი მთელი ისტორიის მანძილზე მუდამ და ყველგან დაუზოგავად ანადგურებდა მტერს.

ბრწყინვალე, მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა ძველმა მუშამ, რომელსაც 50 წლიწადი უმუშავნია საფეიქრო მრეწველობაში, ორდენოსანმა ამხ. ალინცევამ.

— ჩვენი წმინდა მოვალეობაა გამოვიჩინოთ მაღალი ორგანიზებულობა და ნამდვილი ბოლშევიკური სიფხიზლე. ჩვენ მოვალენი ვართ შევასრულოთ საბჭოთა მთავრობის ყოველი დავალება და პატიოსნად, თავგანწირულად ვიშრომოთ იმ უბანში, სადაც ყოველ ჩვენთაგანს განაწესებენ. ფრონტი და ზურგი ამ ომში განუყოფელია — ისინი ერთად სჭედავენ მტერზე გამარჯვებას. (საკდესი).

ჩვენ გავიმარჯვებთ

მოსკოვის სამხედრო ოლქი, 22 ივნისი (საკდესი). უდიდესი ყურადღებით მოისმინეს № ნაწილის მეომრებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა რადიოთი. აქვე საზაფხულო ბანაკის მოედნებზე გაიმართა მიტინგები. მიტინგებზე გამოსული ყველა მეომრის სიტყვა გაჟღენთილი იყო ფაშისტი არამზადების წინააღმდეგ უღრმესი აღშფოთებისა და გულისწყრომის გრძნობით, თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით.

— საბჭოთა ხალხი, — სთქვა პოლიტხელის მოადგილემ ამხ. ზაიცევმა, — გამანადგურებელი დარტყმით უპასუხებს გერმანიის იმპერიალიზმის ვერაგულ თავდასხმას. მსოფლიოს ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქენი ერთსულოვნად გამოვლენ თავიანთი მშვიდობიანი შრომის დასაცავად. თავისუფლებისათვის, სოციალისტური სამშობლოსათვის, დიდი სტალინისათვის თავდადებით იბრძოლებენ ჩვენი მფრინავები და მეზღვაურები, ქვეითელები და ცხენოსნები, არტილერისტები და ტანკისტები.

მიტინგების დამთავრებისთანავე ნაწილის პირადი შემადგენლობა თავის სამსახურის ადგილზე დადგა. მრისხანე საბრძოლო ტექნიკა სავსებით გამზადებული იქნა ბრძოლისათვის.

თავისუფალ საბჭოთა ლატვიაში

რიგა, 22 ივნისი (საკდესი). თავისუფალი ლატვიის ქალაქებსა და სოფლებში დღეს მიმდინარეობდა ხალხმრავალი მიტინგები — საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრი დემონსტრაციები. მუშები, გლეხები და მოსამსახურეები, რომლებიც ამ მიტინგებზე გამოდიოდნენ, აცხადებდნენ, რომ ისინი მზად არიან მკერდით დაიცვან თავიანთი დიდი სოციალისტური სამშობლო.

ქარხანა „წითელი კვადრატის" მუშათა მიტინგზე სიტყვა ითხოვა საგამომჭრელო საამქროს მუშა-ქალმა ამხ. ლესკოვსკაიამ.

— თავდადებული შრომით, — სთქვა მან, — ჩვენ შევასრულებთ ჩვენს წმინდა მოვალეობას სამშობლოს წინაშე. ჩვენ ახლა გასამკეცებული სიფხიზლე უნდა გამოვიჩინოთ.

სამშობლოს დაცვისათვის ერთსულოვანი მზადყოფნა გვიჩვენეს ფაბრიკა „ბოლშევიჩკას" მუშებმა. ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ისინი აცხადებენ:

„გერმანიის ფაშისტურ ხროვას თავისი ვერაგული თავდასხმით სურს განახორციელოს ძველი განზრახვა დაიპყროს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ეს არ იქნება. წითელი არმია შესძლებს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ფაშისტ ავაზაკებს. ყველანი, როგორც ერთი კაცი, გამოვალთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს დასაცავად. კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიშრომებთ დაზგებთან და მანქანებთან, დავიცავთ უსასტიკეს სოციალისტურ დისციპლინას, როგორც ამას სამხედრო მდგომარეობა მოითხოვს".

მიტინგები შესდგა ბალტიისპირა განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში.

— ფაშისტი მმართველნი ავაზაკურად დაესხნენ ჩვენს საზღვრებს, — განაცხადა № ნაწილის წითელარმიელმა ამხ. ნაუმოვმა. ეს უმაგალითო პროვოკაცია ძვირად დაუჯდება ჰიტლერს. წითელი არმია შეჩვეულია სამმაგი გამანადგურებელი დარტყმით უპასუხოს მტრის დარტყმას.

მიტინგზე გამოსულმა № ნაწილის წითელარმიელმა ამხ. ლოლობერიძემ სთქვა:

გერმანელ მტაცებლებს არაერთხელ აღუმართავთ ხელი რუსი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. მაგრამ ყველა მათი ცდა მუდამ დამარცხებით მთავრდებოდა. გმირმა რუსმა ხალხმა მრავალი საუკუნის წინათ ჩუდის ტბის ყინულზე გაანადგურა გერმანელი ძაღლი-რაინდები. გმირმა რუსმა ხალხმა XVIII საუკუნეში, შვიდწლიანი ომის დროს, ბერლინი დაიკავა. 1918 წელს საბჭოთა კავშირის ხალხებმა გერმანელი ოკუპანტები ჩვენი მშობლიური ქვეყნის საზღვრებს იქით გარეკეს. თავგასულ ფაშისტ ავაზაკებს ახლაც ასეთივე ბედი მოელით.

სამიათასიანი მიტინგი თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში. მარჯვნივ—საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. სტურუა და ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. ი. ნეფარიძე.

ფოტო რ. აკოპოვისა.

კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ რიგები ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, მძლავრი საბჭოთა მთავრობის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო!

შევასრულებთ საბჭოთა პატრიოტის მოვალეობას

23 ივნისს მწერალთა კლუბში შესდგა მწერლების მრავალრიცხოვანი მიტინგი. ფაშისტური გერმანიის მიერ ჩვენს ქვეყანაზე ვერაგული თავდასხმის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ს. ეულმა. პოეტმა ა. გომიაშვილმა წაიკითხა ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა. მხურვალე სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები: შ. დადიანი, კ. გამსახურდია, ბ. ჟღენტი, ს. შანშიაშვილი, შ. რადიანი, დ. შენგელაია, ს. წვერავა და ი. აბაშიძე. ა. გომიაშვილმა წაიკითხა ლექსი.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია. საქართველოს საბჭოთა მწერლებმა მიღებულ რეზოლუციაში განაცხადეს:

— გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე ისეთი მუხანათური მოქმედებაა, რომლის მსგავსი არ იცის ცივილიზებულ ხალხთა ისტორიამ. მაგრამ ფაშისტური გერმანიის ბრძოლა დიად საბჭოთა კავშირთან მომაკვდავის უკანასკნელი ამოკვნესა იქნება. ძლევამოსილი წითელი არმია და საბჭოთა კავშირის ხალხები ბრწყინვალედ დაიცავენ დედა-სამშობლოს.

— ჩვენ, სიტყვის ოსტატები, მზად ვართ ლენინ-სტალინის პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე კალამი იარაღზე შევცვალოთ და დავიცვათ დიადი სამშობლო.

— ჩვენ უფრო მეტი სიმტკიცით დავირაზმებით საბჭოთა მთავრობისა და მისი მეთაურის, ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის ირგვლივ. ჩვენ მზად ვართ ჩვენი სისხლის ყოველი წვეთი შევწიროთ დედა-სამშობლოს ინტერესებს და ღირსეულად შევასრულოთ საბჭოთა მოქალაქის, საბჭოთა პატრიოტის მოვალეობა.

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენი ხალხის იმედს, ბრძენ ბელადს დიდ **სტალინს!**

სამშობლოსათვის, სტალინისათვის!

გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმი, პატარა სახელმწიფოების დაპყრობით გათამამებული, ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. მაგრამ საბჭოთა კავშირი დიდი და უძლეველია. ჩვენს სამშობლოს ხელმძღვანელობს **ლენინ-სტალინის** პარტია, ჩვენი ქვეყნის საჭე ხელთ უპყრია გენიალურ სტრატეგს დიდ **სტალინს.** სამოქალაქო ომის დროს ჩვენ გვებრძოდა 14 სახელმწიფო, როცა ჩვენი ხალხი, ჩვენი არმია შიშველი და მშიერი იყო. და მაინც ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა. დღეს საბჭოთა კავშირი მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოა. ჩვენ გვყავს უძლეველი წითელი არმია, წითელი საზღვაო და საჰაერო ფლოტი, გაწვრთნილი დიდი **სტალინის** მიერ. ჩვენ გვაქვს მძლავრი მოწინავე მრეწველობა, შეიარაღებული უმაღლესი ტექნიკით. რაც მთავარია, ჩვენი ხალხი ერთსულოვნად, მჭიდროდ არის შეკავშირებული კომუნისტური პარტიისა და დიდი **სტალინის** გარშემო, ჩვენი ხალხი მზად არის მკერდით დაიცვას სოციალისტური სამშობლო, თავისი ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრება.

მტრის დარტყმას ვუპასუხებთ გამანადგურებელი დარტყმით მისსავე ტერიტორიაზე. ასეთია ჩვენი ხალხის ნება-სურვილი.

ყოველი ჩვენგანი მტკიცედ დგას მისთვის მიჩენილ პოსტზე, შეასრულებს პარტიისა და მთავრობის დავალებას. პირველ დაძახებისთანავე იარაღით ხელში ჩავდგებით წითელი არმიის რიგებში, რომ მოვსპოთ პირსისხლიანი მტერი.

შ. ლამბაშიძე

ორდენოსანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

აღვგავოთ გამხეცებული მტერი პირისაგან მიწისა

თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ხაჩატურიანი, რომელმაც დამსწრეებს გააცნო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის — ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვა პირსისხლიანი გერმანელი ფაშისტების მიერ საბჭოთა წმინდათა-წმინდა საზღვრების გადმოლახვის შესახებ.

მიტინგის მონაწილენი უდიდეს გულისწყრომას და აღშფოთებას გამოსთქვამდნენ მუხანათი მტრის ავაზაკური მოქმედების გამო და ერთხმად მოითხოვდნენ მის დაუნდობელ განადგურებას, აღგვას პირისაგან მიწისა.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, — ჩვენ, პირობას ვაძლევთ ლენინ-სტალინის დიად პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ხალხთა საყვარელ ბელადს, მამას და მასწავლებელს დიდ სტალინს, რომ არ დავზოგავთ ჩვენს ძალღონეს და თვით სიცოცხლესაც ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. ვიმუშავებთ კიდევ უფრო ორგანიზებულად, გაათკეცებით გავზრდით შრომის ნაყოფიერებას, ვადაზე ადრე, მაღალხარისხოვნად და გადაჭარბებით შევასრულებთ ყველა საწარმოო დავალებას.

თავხედი მტერი აღიგვება

22 ივნისს, ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თავდასხმის მოხდენის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვის მოსმენისთანავე, შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კურსების მსმენელთა, მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შესახებ ინფორმაცია გააკეთა კურსების დირექტორმა ამხ. ს. ლარცულიანმა. სიტყვები წარმოსთქვეს: ლექტორმა ამხ. ფ. სუმაროკოვმა, კურსანტებმა დ. დვალიშვილმა, მ. ფიჩხაძემ, ვ. ჩოტულიდიმ, ლექტორმა შ. ცაგარეიშვილმა, მ. სურგულაძემ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის სახელოვანი შეიარაღებული ძალები, რომლებმაც მრავალგზის დაამტკიცეს ჩვენი ბედნიერი სამშობლოსადმი უდიდესი ერთგულება და სიყვარული, ერთხელ და სამუდამოდ გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ ომის პროვოკატორებს — გერმანიის ფაშისტებს.

მიტინგზე მგზნებარე პატრიოტული სიტყვით გამოვიდა კურსანტი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ა. სულაბერიძე, რომელმაც განაცხადა, რომ იგი კვლავ მზად არის გადავიდეს თავის ტანკზე და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ომის გამჩაღებლებს ისე, როგორც ფინეთის თეთრგვარდიელებთან ბრძოლის დროს მოიმოქმედა.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კურსების 500-იანი კოლექტივი საბჭოთა მთავრობისა და პარტიის პირველ დაძახილზე ჩადგება წითელი არმიის მებრძოლთა რიგებში.

კოლექტივი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ თავხედი მტერი დამარცხებული იქნება უმოკლეს ხანში.

მზადა ვართ გადავსხდეთ საბრძოლო თვითმფრინავებზე

შესდგა, საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს მუშაკებისა და ლ. პ. ბერიას სახელობის აეროკლუბის მეთაურთა შემადგენლობის სახელდახელო მიტინგი.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა ამხ. ი. სილაგაძემ მიტინგს გააცნო ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ 22 ივნისს რადიოთი წარმოთქმული სიტყვა საბჭოთა კავშირზე გერმანიის ფაშისტური ბანდების ყაჩაღური თავდასხმის შესახებ.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა აეროკლუბის უფროსის მოადგილე ამხ. ლ. მინასოვი.—ჩვენ, თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის აეროკლუბის მუშაკები, — განაცხადა ამხ. მინასოვმა, — უღრმესად აღვაშფოთა გერმანიის ფაშისტური მთავრობის ყაჩაღურმა პოლიტიკამ. ვასრულებთ ვალდებულებას — უმოკლეს ვადაში გეგმის გადამეტებით მოვამზადოთ მფრინავთა ახალი რაზმები, ჩვენს უძლეველ წითელ არმიას გადავცეთ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის მებრძოლი უშიშარი შავარდნები. ჩვენ მზადა ვართ, საბჭოთა მთავრობისა და მშობლიური სტალინის პირველ დაძახებისთანავე იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ საყვარელი სამშობლოს საზღვრები და მტერი მისსავე ტერიტორიაზე გავანადგუროთ.

— გერმანიის თავაწყვეტილ ფაშისტთა პროვოკაციის საპასუხოდ, განაცხადა აეროკლუბის მეთაურმა ამხ. ნ. კოვალენკომ, — დღე და ღამ ვიჯდები თვითმფრინავზე და უმოკლეს ვადაში მოვამზადებ მფრინავთა ახალ კადრებს ჩვენი სახელოვანი წითელი საჰაერო ფლოტისათვის. მე მზადა ვარ სასწავლო თვითმფრინავიდან გადავიდე საბრძოლო მანქანაზე და ვეკვეთოთ მტერს.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგი აღშფოთებას გამოსთქვამს გერმანელ ფაშისტთა ავაზაკური მოქმედების გამო. (საქდესი).

მივცემთ სამშობლოს მეტ ჯანსაღ ორთქლმავლებსა და ვაგონებს

გუშინ დილით, სამუშაოს დაწყებამდე თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის 3000-მდე მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი შეიკრიბა ამწყობ საამქროში მიტინგზე. თვითეული მათგანის სახეზე აღბეჭდილი იყო მრისხანება იმ გაუგონარი ყაჩაღობის გამო, რომელიც გამოიჩინა გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის მმართველმა ხროვამ.

ყველა ერთი აზრით არის გამსჭვალული — მტერს ჩასცეს სასიკვდილო ლახვარი და აღგავოს იგი პირისაგან მიწისა.

მიტინგმა დიდი ყურადღებით მოისმინა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. სტურუას ინფორმაცია 22 ივნისს ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი გაკეთებული განცხადების შესახებ.

როდესაც ამხ. სტურუამ სთქვა, რომ საბჭოთა ხალხი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შესძლებს საკადრისი პასუხი გასცეს აღვირახსნილ მტერს, მიტინგმა ეს სიტყვები მქუხარე ტაშით დაჰფარა.

შემდეგ სიტყვებს ილებენ ქარხნის მოწინავე ადამიანები ამხ. მ. გეწაძე, ალ. ლისენკო, ი. მაჩაიძე და ი. სელიხოვი.

ისინი მოუწოდებენ ყველას დაირაზმონ ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო, გააძლიერონ სტახანოვური ტემპები, მისცენ სახელმწიფოს მეტი ჯანსაღი ორთქლმავლები, ვაგონები, ელმავლები.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი გამოსთქვამენ ღრმა რწმენას, რომ მტერი შემუსრვილი იქნება, და არწმუნებენ პარტიას, საბჭოთა მთავრობას თავიანთი მზადყოფნაში — მკერდით დაიცვან საყვარელი სოციალისტური სამშობლო.

ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშების პასუხი

ხელი შევუწყოთ ჩვენს მამაც მებრძოლებს მალე გაანადგურონ მტერი

ჩვენს საყვარელ სამშობლოს თავს დაესხა გერმანელ ფაშისტთა ხროვა და კიევის, კაუნასის, ჟიტომირის, სევასტოპოლისა და სხვა ქალაქების მშვიდობიან მოსახლეობას ყუმბარები დაუშინა.

ქურდულად, ბარბაროსულად გადმოლახა ჩვენი სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრები გერმანიის ცოფიანმა ფაშიზმმა.

ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს ბედნიერი მოსახლეობა, ჩვენი სამშობლოს მშრომელნი გერმანიის ფაშიზმის ასეთ თავხედობას ვერ მოითმენენ და აღსდგებიან როგორც ერთი კაცი სამშობლოს დასაცავად.

ჩვენი წითელი არმია, საზღვაო ფლოტი და ჩვენი შეუპოვარი მამაცი შვარდნები საკადრის პასუხს გასცემენ ჩვენი სამშობლოს დაუძინებელ მტერს — გერმანიის გათავხედებულ ფაშიზმს და მის ხელმძღვანელს — ცოფიან ძაღლ ჰიტლერს.

ჩვენ ვალდებულნი ვართ შევმჭიდროვდეთ ისე, როგორც არასოდეს. ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, სტახანოვური მოძრაობა, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, მივცეთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს მრავალი ჯანსაღი ორთქლმავალი, ვაგონი, ელმავალი და სხვა პროდუქცია და ამით ხელი შევუწყოთ ჩვენი სამშობლოს მამაც მეომრებს მოკლე დროის განმავლობაში გაანადგურონ ცოფიანი ძაღლები.

მ. ბეწაძე

სტახანოველი ორდენოსანი

სტახანოვური მუშაობით ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება

სიტყვები არ მყოფნის გამოვსთქვა ის აღშფოთება, რაც გამოიწვია ჩემში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის თვითეულ მშრომელში, გერმანიის გაცოფებული ფაშიზმის ახალმა, კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარმა, ბარბაროსულმა აქტმა.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი ერთი წუთითაც ვერ მოითმენენ, რომ მათს მიწა-წყალზე მტერი თარეშობდეს. სავსებით სწორია ჩვენი მთავრობის განკარგულება წითელი არმიისადმი, უკუაგდოს მტერი და გასწმინდოს ჩვენი მიწა-წყალი ყოველგვარი უწმინდურებისაგან.

ჩვენ ვიცით, რომ ეს ომი თავზე მოგვახვიეს არა გერმანიის მშრომელებმა, არამედ გერმანიის პირსისხლიან ფაშისტ მმართველთა ხროვამ.

მაგრამ მტერი მოტყუვდა, მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგება მტრის წინააღმდეგ. ჩვენი მამაცი წითელი არმია და მთელი ჩვენი ხალხი გააჩაღებენ ძლევამოსილ სამართლიან სამამულო ომს და მოსპობენ მტერს.

ჩვენი ვალია ვიმუშაოთ გაათკეცებული ენერგიით, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერება.

მაღალი სტახანოვური მუშაობით კიდევ უფრო ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, მივცეთ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას ყველაფერი, რაც მას სჭირდება მტრის შესამუსრავად. ვიყოთ მზად ყოველ წუთს მკერდით დავიცვათ ჩვენი ბედნიერი ცხოვრება.

ი. მაჩაიძე

საბარგო-სავაგონო საამქროს სტახანოველი მჭედელი.

ვიმუშავებთ ორგანიზებულად, გავზრდით შრომის ნაყოფიერებას

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეებში და ინჟინერ-ტექნიკოსებში საერთო აღშფოთება და რისხვა გამოიწვია გერმანელ ფაშისტთა ბანდის ყაჩაღურმა, მუხანათურმა მოქმედებამ, იმან, რომ ვერაგთა ეს ხროვა თავს დაესხა საბჭოთა კავშირის საზღვრებს.

გუშინ, სახელდახელო მიტინგზე შეიკრიბნენ დეპოს მუშა-მოსამსახურეები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები, ბრიგადირები და წარჩინებული ადამიანები. მათ დაძაბული ყურადღებით მოისმინეს პარტბიუროს მდივნის ამხ. ივ. გეტაშვილის ინფორმაცია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შესახებ.

ტრიბუნაზეა მემანქანე ამხ. ი. გეპნერი. საბჭოთა კავშირის ხალხები მზად არიან ორმაგი დარტყმით უპასუხონ ვერაგი მტრის თავხედურ თავდასხმას. ჩვენ დეპოელები, ისე როგორც ყოველთვის, მთელი ენერგიით ვიბრძოლებთ XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ დედა-სამშობლოს მივცეთ ჯანსაღი ორთქლმავლები. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პირველი დაძახებისთანავე მზად ვიქნებით იარაღით ხელში გმირულად ვეკვეთოთ მტერს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლოთ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

მე-3 საამქროს ბრიგადის ბრიგადირმა ორდენოსანმა ამხ. შ. ხიზანიშვილმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი უძლეველია. მის წმინდათა-წმინდა საზღვრებს ერთგულად, თავდადებით იცავს ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია, რომელმაც მტრის წინააღმდეგ მამაცურ, გმირულ ბრძოლაში არაერთხელ შეიმოსა თავი დიდების შარავანდედით. წითელი არმია მარტო როდია. საბჭოთა ქვეყნის ხალხები მჭიდროდ დარაზმულნი არიან ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი დიადი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. გ. კოვალევი, კრავცევი, მაკარაშვილი, ქვლივიძე, ბახტაძე, სალარიძე და სხვ., რომელთა სიტყვები გამსჭვალული იყო გერმანელ ყაჩაღების მიმართ უდიდესი გულისწყრომით, ხოლო სოციალისტურ სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებითა და სიყვარულით.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: ჩვენ, თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი, პირობას ვაძლევთ სახელოვან კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ ვიმუშავებთ ორგანიზებულად, ფხიზლად და ჩვენს მძლავრ საბჭოთა კავშირს მივცემთ მეტ და ჯანსაღ ორთქლმავლებს. ამავე დროს მუდამ მზად ვიქნებით ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის პირველი დაძახებისთანავე გამანადგურებელი ლახვარი ჩავცეთ ვერაგ მტერს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ერთგულ გუშაგს წითელ არმიას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ **სტალინს!**

მშრომელთა მიტინგი თბილისის საორთქლმავლო დეპოში. სიტყვას ამბობს ლუწინელი მემანქანე ამხ. გეპნერი.

საქდესის ფოტოქრონიკა.

პირსისხლიან ფაშისტ ბანდიტებს გავანადგურებთ

უდიდესი აღშფოთება, მრისხანება და გულისწყრომა გამოიწვია თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მრავალათასიან კოლექტივში ცნობამ საბჭოთა კავშირზე გერმანელ ფაშისტ პროვოკატორთა მუხანათური თავდასხმის შესახებ. გუშინ დილით, მუშაობის დაწყების წინ, ფაბრიკის რამდენიმე ათასი მუშა-მოსამსახურე შეიკრიბა სახელდახელო მიტინგზე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. ლელინმა მიტინგს გააცნო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შინაარსი.

„ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“. როცა ამხ. მოლოტოვის ეს სიტყვები მომხსენებელმა მიტინგის წინაშე წარმოსთქვა, დარბაზში ტაშმა იგრიალა.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან ფაბრიკის წარჩინებული ადამიანები: სტახანოველები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები. — ჩვენ აღშფოთებას, ჩვენს გულისწყრომას, — ამბობს წარჩინებული ოსტატი ამხ. გრ. ნანეიშვილი, — ვუერთებთ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის ხმას: ფაშისტი ძაღლები უნდა აღიგავონ დედამიწის პირიდან.

— მე ყოველწამს მზად ვარ საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად შევასრულო ჩემი საპატიო მოვალეობა სოციალისტური სამშობლოს წინაშე,—განაცხადა ორდენოსანმა სტახანოველმა ამხ. გ. არუთინოვმა.

— წითელი არმია **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ხელმძღვანელობით სასახელოდ შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოსა და ხალხის წინაშე და გაანადგურებს პირსისხლიან ფაშისტებს, — დაასრულა სიტყვა სტახანოველმა მუშამ ამხ. ლ. სახნინმა.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: ჩვენ, თბილისის ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მრავალათასიანი კოლექტივი, კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, მშობლიური **სტალინის** გარშემო. ფაშისტთა ხროვის პროვოკაციული გამოსვლის საპასუხოდ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოსაპოვებლად, გადავაქცევთ ჩვენს ფაბრიკას მტრისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ.

გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას, წითელ ავიაციას, წითელ საზღვაო ფლოტს.

გაუმარჯოს მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას!

გაუმარჯოს ჩვენს იმედს, მამასა და მასწავლებელს, მშობლიურ **სტალინს!**

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

ლონდონი, 22 ივნისი (საქდესი). ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ წუხელ—მეათე ღამეს ზედიზედ—ინგლისის ავიაცია თავს დაესხა დასავლეთ გერმანიის ობიექტებს. გერმანიის ამ სამრეწველო ცენტრზე თავდასხმა გაafთრებული ხასიათისა იყო. პრესის ცნობით, დღეს, დილით, ინგლისის ავიაციამ ინტენსიური თავდასხმა მოახდინა აგრეთვე გერმანელების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთის ნავსადგურებზე. ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე სრუტის გაღმიდან მოისმოდა ყუმბარების აფეთქების ხმა. ჰფიქრობენ, რომ ინგლისის მფრინავები უშენდნენ მეტად დიდი ყალიბის ყუმბარებს.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 22 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს, სადაც ნათქვამია, რომ 21 ივნისს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ინტენსიური თავდასხმა მოახდინა გერმანიის სამრეწველო რაიონებზე. ბომბარდირებულ იქნა კელნისა და დიუსელდორფის ობიექტები. ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე დიუნკერკისა და ბულონის დოკებს. ინგლისის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. წუხელ ინგლისის ავიაგამანადგურებლები თავს დაესხნენ მტრის აეროდრომებს ჩრდილოეთ საფრანგეთში. როგორც ახლა გამოირკვა, გერმანიის 4 ყუმბარმშენი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ინგლისზე უკანასკნელი ღამის თავდასხმაში, მოსპობილ იქნა.

ლონდონი, 22 ივნისი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის ავიაციის დიდმა შენაერთებმა გუშინ გერმანელების მიერ ოკუპირებულ ჩრდილოეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე ყუმბარა დაუშინეს მტრის აეროდრომებს სენტ-ომერისა და ბულონის მახლობლად. ყველგან, სადაც ჰაერში აფრინდებოდნენ მტრის ავიაგამანადგურებლები, გაფთრებული საჰაერო ბრძოლა იმართებოდა. ამ ოპერაციების დროს ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 5 თვითმფრინავი, გერმანიისამ—28.

რეიტერის სააგენტოს სიტყვით, 21 ივნისს საფრანგეთის სანაპიროს წინააღმდეგ მიმართული ოპერაციები ყველაზე ფართო მასშტაბისა იყო იმის შემდეგ, რაც გასული წლის შემოდგომაზე მტერმა ინტენსიური თავდასხმა მოაწყო ინგლისის ტერიტორიაზე.

საფრანგეთის სანაპიროზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდნენ ინგლისის ახალი ავიაგამანადგურებლები, რომლებმაც ბრძოლაში გამოამჟღავნეს თავიანთი უპირატესობა გერმანიის ახალ თვითმფრინავებზე „მესერშმიდტ-109-ფ“. ინგლისის ახალი ავიაგამანადგურებლები უფრო სწრაფად ადიან მაღლა და უკეთესი მანევრულობა აქვთ დიდ სიმაღლეზე, ვიდრე ძველი ტიპის თვითმფრინავებს. ამ თვითმფრინავებზე დადგმულია აგრეთვე უფრო მძლავრი იარაღი.

ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ძალთა სარდლობის კომუნიკე

ლონდონი, 22 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ძალთა სარდლობის კომუნიკეს, რომელიც დღეს გამოქვეყნდა. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ლიბიაში მდგომარეობა უცვლელია. აბისინიაში ადგილობრივ ჯარის ნაწილებმა ინგლისელი ოფიცრების ხელმძღვანელობით 21 ივნისს დაიკავეს ქალაქი ჯიმა. ოპერაციები სამხრეთ აბისინიაში დამაკმაყოფილებლად ვითარდება. ინგლისის საიმპერიო ჯარები აქ მოქმედებენ აბისინიის ჯარის ნაწილებთან ერთად, რომლებიც ყოველ მხრიდან თავს ესხმიან იტალიელებს. სოდუსთან ინგლისელებს ტყვედ დანებდნენ იტალიის მე-24 დივიზიის ახალი ნაწილები. ლეკენტის დასავლეთით 25 კილომეტრზე ინგლისის საიმპერიო ჯარებმა გააფთრებული შეტაკების შემდეგ დაიკავეს მოწინააღმდეგის გამაგრებული პოზიციები, ამასთან ხელთ იგდეს 30 ტყვე, 4 ქვემეხი და 20 ტყვიამფრქვევი. დებრა ტაბორის რაიონში ინდოეთის ჯარი, რომელსაც ეხმარებიან აბისინელები, სულ უფრო და უფრო მჭიდროდ გარს ერტყმის ქალაქს.

სირიაში, ინგლისის, ინდოეთისა და დე გოლის ჯარების შეტევის შედეგად, ვიშის მთავრობის ჯარის ნაწილებმა 21 ივნისს დასტოვეს დამასკო, რომელიც შემდეგ დაიკავა დე გოლის ჯარმა. ყველა სხვა რაიონში ბრძოლა ინგლისელებისათვის წარმატებით გრძელდება.

საომარი მოქმედება სირიაში

ლონდონი, 22 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ჯარის მიერ დამასკოს ოკუპაცია, როგორც სჩანს, გარდატეხის მომენტი იქნება სირიის კამპანიაში. დამასკოდან მოკავშირეთა ძალებს შეუძლიათ იერიში მიიტანონ ორი მიმართულებით. მათ შეუძლიათ მიბრუნდნენ დასავლეთით ბეირუთისაკენ. ეს გზა გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს და ადვილად დასაცავია, რადგან იგი ორ მთაგრეხილს სერავს. მეორე მიმართულებაა ჩრდილოეთით ხომსისაკენ. აქ მოკავშირეებს შეუძლიათ წაიწიონ ამას წინათ აგებული გზის გასწვრივ, რომელიც ხომსს დამასკოსთან აკავშირებს. არის აგრეთვე ხომსისაკენ მიმავალი ძველი გზა, რომელიც ერთ მთაგრეხილს სერავს და შემდეგ ხეობით მიდის ორ ქედს შორის. საფრანგეთის სირიის ჯარის მთავარსარდალმა გენერალმა დენცმა უკვე გამოიყვანა თავისი რეზერვები და ახლა მის წინაშე დასმულია საკითხი, თუ რომელ პუნქტთან მოახდინოს თავისი უკანასკნელი ძალების კონცენტრაცია.

გენერალ უეიველის ულტიმატუმი საფრანგეთის სომალის ხელისუფალთადმი

ლონდონი, 22 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, გენერალმა უეიველმა საფრანგეთის სომალის გუბერნატორს აცნობა, რომ იგი ან დაუყოვნებლივ უნდა შეუერთდეს დე გოლს, ანდა აშკარად განაცხადოს, რომ კავშირს სწყვეტს ღერძის სახელმწიფოებზე ორიენტაციის პოლიტიკასთან. იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ წინადადების განხილვაზე უარს იტყვის, გენერალი უეიველი წინადადებას აძლევს გაიყვანონ ჯიბუტიდან ქალები და ბავშვები.

სააგენტო შემდეგ იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ პროტესტი განუცხადა ინგლისს გენერალ უეიველის მიერ ულტიმატუმის წაყენების წინააღმდეგ. სააგენტო გადმოგვცემს აგრეთვე, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ შეერთებულ შტატებს აცნობა, რომ მან ინგლისს პროტესტი განუახლა.

საჰაერო თავდასხმა ალექსანდრიაზე

ლონდონი, 22 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ 20 ივნისს, ღამით, ალექსანდრიას ორჯერ დაესხნენ თავს მტრის თვითმფრინავები. მათ ჩამოაგდეს რამდენიმე ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარა. ბომბარდირების შედეგად მოკლულია 4 კაცი და დაჭრილია რამდენიმე. რამდენადმე დაზიანებულია ქალაქის შენობები.

საომარი მზადება კვიპროსზე

ნიუ-იორკი, 22 ივნისი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ავსტრალიის ჯარის მოტორიზებულმა ნაწილებმა კვიპროსზე შექმნეს ძლიერი თავდაცვითი პოზიციები იმ შემთხვევისათვის, თუ კუნძულზე შემოჭრას შეეცდებიან. კუნძულის თავდაცვის გეგმის შემუშავებისას ინგლისელებმა გაითვალისწინეს კრეტაზე მომხდარი ბრძოლის გაკვეთილები. კუნძულზე თითქმის ყოველდღე ატარებენ საჰაერო განგაშს, მაგრამ ბომბარდირება შედარებით იშვიათად ხდება.

მცხოვრებთა ევაკუაცია ბეირუთიდან

ვიში, 21 ივნისი (საქდესი). ფრანგულ ჟურნალ “7 დღის“ ცნობით, ბეირუთიდან 80 ათასი მცხოვრები გაიხიზნა, რაც ამ ქალაქის მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს. საწვავის ნაკლებობის გამო ევაკუაციისათვის ავტომობილები ვერ გამოიყენეს. ხალხი ფეხით ან ველოსიპედით მიდიოდა მთებში.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 23 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ წუხელ ინგლისის ყუმბარმშენები კვლავ დაესხნენ თავს დასავლეთ გერმანიას. ბომბარდირების მთავარი ობიექტები იყო ბრემენი და ვილჰელმსჰაფენი.

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ინგლისის ავიაციამ ჩამოაგდო გერმანიის 58 ავიაგამანადგურებელი. ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ამავე ხნის განმავლობაში დაჰკარგეს 5 თვითმფრინავი. მფრინავთა უმრავლესობა, რომლებიც ინგლისის ავიაგამანადგურებელთა გუშინდელი დღის ოპერაციებში მონაწილეობდნენ, აღნიშნავს, რომ გერმანელი მფრინავები ამჟამად ვერ იჩენენ ჯეროვან საბრძოლო სულისკვეთებას. აღნიშნავენ, რომ ინგლისის ავიაგამანადგურებელთა შენაერთები, რომლებიც გუშინ ყუმბარმშენებს ბადრაგობდნენ, თავიანთ ბაზებში დაბრუნებისას შეხვდნენ გერმანიის 50 ავიაგამანადგურებელს. თუმცა გერმანიის ავიაგამანადგურებლები რიცხვობრივად აღემატებოდნენ ინგლისისას, მაგრამ მათ თავი აარიდეს ინგლისის თვითმფრინავებთან ბრძოლას.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ლონდონზე

ლონდონი, 23 ივნისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 9 წყნარი ღამის შემდეგ, გუშინ ლონდონში საჰაერო განგაში გამოაცხადეს. გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დააყარეს სამხრეთ - აღმოსავლეთ ინგლისის ერთერთ პუნქტს. მსხვერპლი არ ყოფილა. ჩრდილოეთ - აღმოსავლეთ სანაპიროზე გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ქალაქს და რამდენიმე შენობა დაანგრიეს საცხოვრებელ უბანში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა გამოსთქვამს ურყევ რწმენას, რომ ჩვენი მამაცი არმია, ფლოტი და საბჭოთა ავიაციის უშიშარი შევარდნები ღირსეულად მოიხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე, და გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ აგრესორს

ვ. მოლოტოვი

სოციალისტური სამშობლოს დასაცავად

გერმანიის მმართველმა ფაშისტურმა ხროვამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ვერაგობა სოციალისტურ სახელმწიფოზე მუხანათური თავდასხმით, რომლის მსგავსი ჯერ არ ახსოვს კულტურულ კაცობრიობას.

ეს ვერაგობა საყოველთაო ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს არა მარტო საბჭოთა მოქალაქეების, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულშიც.

საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის და ხელშეკრულების პატიოსანი შესრულების პასუხად ფაშიზმმა აირჩია სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა უდანაშაულო სისხლის გამცემლურად დაღვრა.

გერმანიის მშრომელი ხალხი, რომელიც განიცდის უსაზღვრო ტანჯვას ფაშისტ სულთამხუთავების ხელში, კიდევ ერთხელ დარწმუნდება იმაში, თუ რისთვის ღვრის იგი თავის სისხლს. ეს იქნება საბედისწერო ფაშისტ ავანტიურისტებისათვის. ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ომის დაწყება მათი დასასრულის დასაწყისია.

საბჭოთა პატრიოტები, შემოკრებილნი ლენინ - სტალინის სახელოვანი პარტიის, ხალხთა უსაყვარლესი ბელადის დიდი სტალინის ირგვლივ, — სასიკვდილო ლახვარს ჩასცემენ მუხანათ მტერს და დაუმტკიცებენ მსოფლიოს, თუ როგორ იცავს განთავისუფლებული მშრომელი ხალხი თავის სოციალისტურ სამშობლოს.

გრ. კილაძე

სტალინური პრემიის ლაურეატი, ორდენოსანი.

გამანადგურებელი დარტყმით ვუპასუხოთ ფაშიზმს

22 ივნისს საოპერო თეატრში შესდგა მიტინგი, რომელმაც მოისმინა თეატრის დირექტორის ამხ. ნ. მაისურაძის ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის შესახებ. სიტყვები წარმოსთქვეს ორდენოსანმა მომღერალმა მ. ყვარელაშვილმა და კვალიაშვილმა.

— ჩვენ ვიცით, — განაცხადა ამხ. ყვარელაშვილმა, — ფაშიზმი სოციალიზმის დაუძინებელი მტერია. ჩვენი ქვეყანა თანმიმდევრობით იცავდა მშვიდობიანობას, მაგრამ პირსისხლიანი ფაშისტები თავს დაგვესხნენ. ზიზღი სისხლიან ფაშისტებს! სასტიკი დარტყმით ვუპასუხოთ ყაჩაღ თავდამსხმელებს!

წითელი არმიის, წითელი ფლოტის, საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ყოველ ხსენებაზე დარბაზში დიდხანს ისმოდა მქუხარე ტაში.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია: ფაშისტური გერმანია უნდა განადგურდეს; მტრის დარტყმას ვუპასუხოთ გამანადგურებელი დარტყმით.

მიტინგი დასრულდა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

მზად ვართ ორმაგი დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელ ბანდიტებს

გუშინ, დილის 6 საათსა და 45 წუთზე თბილისის სტალინის სახელობის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში შესდგა სახელდახელო მიტინგი.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ამხ. სარუხანოვი, რომელმაც დამწრეთ გააცნო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ 1941 წლის 22 ივნისს რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შინაარსი.

მიტინგზე გამოსულმა ამხ. მარტიროსოვმა, საშჩუკოვმა (სტახანოველი), არუთინოვმა (მოსამზადებელი საამქროს სტახანოველი), პეტრუზოვმა (მოსამზადებელი საამქროს ოსტატი), ტერ-ხაჩატუროვმა (შემკერი საამქროს სტახანოველი ქალი), გაბუნიამ (ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი) და სხვ. აღნიშნეს, რომ ომის გამჩაღებელ გერმანელ ფაშისტ აგრესორთა საპასუხოდ ფაბრიკის მთელი კოლექტივი უფრო მჭიდროდ დაირაზმება სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო. უფრო მეტი მონდომებითა და ენერგიით იმუშავებს გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

საყვარელი ბელადის დიდი სტალინის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი მზად არის გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ იარაღით ხელში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს საბჭოთა მშრომელი ხალხისათვის, ლენინ - სტალინის დიადი პარტიისათვის, ხალხთა ბელადის დიდი სტალინისათვის.

მტერი განადგურებული იქნება

№ 1 სამკერვალო ფაბრიკის მშრომელთა მიტინგს, მიძღვნილს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სიტყვისადმი, 1.300-მდე კაცი დაესწრო. ცნობამ საბჭოთა კავშირზე გერმანიის პირსისხლიანი ფაშისტების მუხანათური თავდასხმის შესახებ დამსწრეთა უსაზღვრო გულისწყრომა გამოიწვია.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: მთელი საბჭოთა ხალხი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ დარაზმული დადგება სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე. მტერი განადგურებული იქნება მისსავე ტერიტორიაზე. № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს კიდევ უფრო განამტკიცოს შრომის დისციპლინა, აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, მაღალი მაჩვენებლებით ვადაზე ადრე შეასრულოს 1941 წლის საწარმოო დავალება და ამით ხელი შეუწყოს სახელოვანი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერების განმტკიცებას. ფაბრიკის თვითეული მუშაკი მზად არის მკერდით დაიცვას საბჭოთა კავშირის წმინდათაწმინდა საზღვრები. სამშობლოს დასაცავად ჩვენ არ დავიშურებთ ჩვენს ძალღონესა და სიცოცხლესაც კი.

გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს!**

ერთსულოვნად ჩავდგებით წითელი არმიის რიგებში

მოისმინა რა სამშენებლო ტრესტის „თბილმშენის" სამმართველოს პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. გეის ცნობა საბჭოთა კავშირზე გერმანელი ფაშისტების ვერაგული თავდასხმის შესახებ, ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგმა აღშფოთება გამოსთქვა პირსისხლიანი ფაშისტების მიმართ. სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა განაცხადეს:

— საბჭოთა კავშირის ხალხი, ბოლშევიკური პარტიისა და ბრძენი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით ყოველთვის მიისწრაფოდა საყოველთაო მშვიდობიანობისაკენ.

— მუხანათი მტერი ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. მაგრამ მტერს ოინები არ გაუვა. იგი განადგურებული იქნება მისსავე ტერიტორიაზე.

— ვერაგი მტრის საზიზღარ თავდასხმაზე ჩვენ, ტრესტის თანამშრომლები, ვიძლევით ფიცს, რომ კიდევ უფრო მეტი თავდადებით შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს, პარტიის, მთავრობის, ამხანაგ სტალინის პირველ მოწოდებისთანავე ყველანი, როგორც ერთი კაცი, ჩავდგებით სახელოვანი წითელი არმიის რიგებში და ვიბრძოლებთ მტრის სრული განადგურებისათვის.

ჩვენი პასუხი

22 ივნისს წითელწყაროს რაიონის ცენტრში ჩატარდა სახელდახელო მიტინგი, რომელსაც 800 კაცზე მეტი დაესწრო.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. კობერიძე, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შინაარსი.

დამსწრენი უდიდესი აღშფოთებით შეხვდნენ სსრ კავშირზე გერმანელი ფაშისტების თავდასხმას.

სიტყვით გამოსულმა შირაქის ნავთის წარმოების სამმართველოს უფროსმა ამხ. აბესაძემ, მირზაანის ბურღვის კანტორის დირექტორმა ორდენოსანმა ამხ. ფ. საპოჟნიკოვმა იკისრეს ერთიორად გააუმჯობესონ მუშაობა, ყოველდღიურად გადაჭარბებით შეასრულონ ნავთის ამოღებისა და ბურღვის გეგმები, რათა ჩვენს ქვეყანას მისცენ უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი ნავთი.

წითელწყაროს სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობების კოლმეურნეთა სახელით სიტყვით გამოსულმა სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჯანიაშვილმა იკისრა ვალდებულება, რომ მიმდინარე წლის მოსავალს კოლმეურნეობები აიღებენ ვადაზე ადრე და უდანაკარგოდ. ასეთივე მიტინგები ჩატარდა რაიონის სხვა სოფლებში.

გავანადგურებთ მუხანათ მტერს

22 ივნისს კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

— კიროვის რაიონის მოსახლეობის ორათასიანი მიტინგი, ფაშისტ ავაზაკთა გაუგონარი, ცივილიზებულ ხალხთა ისტორიაში უმაგალითო ვერაგული თავდასხმით აღშფოთებული, სიტყვას აძლევს პარტიას და მთავრობას, საყვარელ სტალინს, რომ ყველანი, როგორც ერთი კაცი, მზად არიან მკერდით დაიცვან თვითეული მტკაველი საბჭოთა წმინდა მიწა-წყალი, ყოველ წუთს მზად არიან ჩადგნენ მამაცი წითელი არმიის რიგებში, რათა საბოლოოდ გაანადგურონ გაშმაგებული ფაშიზმი.

არცერთ გოჯ საბჭოთა მიწას არავის დავუთმობთ

22 და 23 ივნისს ჩატარდა თბილისის ს. მ. კიროვის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მიტინგები, მიძღვნილი ამხ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გერმანიის ფაშისტური ხროვის თავდასხმის შესახებ.

22 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ქარხნის საერთო საცხოვრებელში გაიმართა მიტინგი, რომელსაც 300 კაცი დაესწრო.

— გამსჭვალულნი ერთსულოვანი მისწრაფებით — განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს—საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება,— სთქვა ამწყობი საამქროს ოსტატმა ამხ. შაუთიძემ, — ჩვენ კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და ენტუზიაზმით უნდა ვიმუშაოთ ქარხანაში, რათა მივცეთ ქვეყანას იმაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე იგი ამას მოითხოვს.

— ჩვენს წითელ არმიას,—სთქვა მექანიკური საამქროს ოსტატმა ამხ. აღაჯანოვმა, — არაერთხელ უჩვენებია გადამწყვეტ ბრძოლებში თავისი უძლევი გამანადგურებელი ძალა, ამჯერადაც უჩვენებს იგი მთელ მსოფლიოს, თუ რა შესაძლებლობა გააჩნია მას.

ასეთივე მგზნებარე, პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის საფინანსო ნაწილის უფროსი ამხ. ვართანოვი და ინჟინერ-კონსტრუქტორი ამხ. ვაგინი.

— ფაშისტების ბანდიტურ თავდასხმას ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ჩვენი ძალებისა და ენერგიის გაძლიერებით, საწარმოო გეგმების განუხრელი შესრულებით, ხოლო თუ საჭირო გახდა, ყოველ წუთს მზად ვიყოთ საწარმოო ხელსაწყოს საბრძოლო იარაღით შეცვლისათვის, რათა მკერდით დავიცვათ ჩვენი საზღვრები, — განაცხადა ამხ. ვაგინმა.

მიტინგზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ასახულია მასების უღრმესი სიყვარული ბოლშევიკური პარტიისა, საბჭოთა მთავრობისა, დიდი სტალინისადმი.

— ჩვენ, თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ოჯახის წევრები — დედები, დები, ცოლები, შვილები,— ნათქვამია რეზოლუციაში,—მზად ვართ პირველ დაძახილისთანავე წავიდეთ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის დასახმარებლად, პირსისხლიანი ფაშისტური ბანდიტების წინააღმდეგ და იქ, ბრძოლის ველზე, ვუჩვენოთ მტერს ჩვენი უდრეკი ნებისყოფა.

23 ივნისს, დილით, მუშაობის დაწყებამდე, ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა 600-მდე კაცის რაოდენობით თავი მოიყარეს მიტინგზე ქარხნის ეზოში.

ინფორმაციით ამხ. მოლოტოვის მიერ რადიოთი გაკეთებული განცხადების შესახებ გამოვიდა ქარხნის დირექტორი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ნ. ორჯონიკიძე, რომლის განცხადებას, რომ ფაშისტ-აგრესორების ვერაგობას თბილისელი დაზგათმშენებლები უპასუხებენ გეგმის ზევით ახალი დაზგების გამოშვებით, ყველა აღფრთოვანებით შეხვდა.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: საკომპრესორო სადგურის მემანქანე ამხ. პროხოროვი, საამქროს უფროსი ამხ. ნევზოროვი, სამოქალაქო ომის მონაწილე მუშა ამხ. ბურცევი, ტექნოლოგი ამხ. კუშელავა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ქურდაშვილი და ფაბკომის თავმჯდომარე ამხ. ფაფაზიანი.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ყველა, როგორც ერთი კაცი დავირაზმებით ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო. გავასამკეცებთ ჩვენს ენერგიას ქვეყნის სამხედრო და სამეურნეო ძლიერების უფრო განმტკიცებისათვის, პირობას ვიძლევით—მივცემთ ქვეყანას მოცემული პროგრამის გადაჭარბებით ახალ დაზგებს.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა მშვიდობიანობის პოლიტიკაა, მაგრამ რაკი ომი თავს მოგვახვიეს, არავის არ დავუთმობთ საბჭოთა მიწაწყლის არცერთ გოჯს, ვინაიდან იგი მოპოვებულია ჩვენი საკუთარი ხელებით და მტერს გავანადგურებთ მისსავე ტერიტორიაზე".

ვიმუშავებთ გაათკეცებული ენერგიით. ყველაფერს გავაკეთებთ მტრის გასანადგურებლად

ჩვენს ქვეყანაზე გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის მუხანათური თავდასხმით აღშფოთებული თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მუშები 23 ივნისს, სამუშაოს დაწყებამდე ბევრად ადრე მოვიდნენ ქარხანაში. ქარხნის ეზო აივსო მუშებით, მოსამსახურეებით, ინჟინერ-ტექნიკოსებით.

გაიხსნა მიტინგი, რომელზეც მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. გ. გოჩაშვილის ინფორმაცია ფაშისტური გერმანიის ჯარების მიერ ჩვენი ქვეყნის საზღვრების ქურდულად და ყაჩაღურად გადმოლახვისა და ამის საპასუხოდ უძლეველი საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შესახებ.

მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა მოწინავე სტახანოველებმა ორდენოსანმა შ. ომანიძემ, ვ. კეშელავამ, გ. ამერგულოვმა და სხვ., რომლებიც ქარხნის მთელი კოლექტივის სულისკვეთებას გამოხატავდნენ, განაცხადეს, რომ ქარხნის მუშები გაათკეცებული ენერგიით იმუშავებენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს თავდაცვაუნარიანობის განსამტკიცებლად, ყველაფერს გააკეთებენ და არაფერს დაიშურებენ უძლეველი წითელი არმიის უზრუნველსაყოფად, რათა მუხანათი მტერი განადგურებულ იქნას.

— მტკიცედ ვიქნებით რა ჩვენს სამუშაო უბნებზე, — ნათქვამია მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — წარმატებით შევასრულებთ მთავრობის ყოველგვარ დავალებას. ვაცხადებთ, რომ მზად ვართ სიცოცხლე შევწიროთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვას და მოვსპოთ მტერი მისსავე ტერიტორიაზე.

ყველანი გამოველთ სამშობლოს დასაცავად

ერთი სულისკვეთებით, ერთი აზრით, ერთი გადაწყვეტილებით შეკავშირებულნი შეიკრიბნენ 23 ივნისს დილით თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები:

— ვიყოთ მზად, იარაღით ვეკვეთოთ მტერს და გავანადგუროთ იგი მისსავე ტერიტორიაზე.

ფაბრიკის ეზოში შეკრებილნი მოელოდნენ მიტინგის გახსნას. ვერაგული, სისხლიანი ფაშიზმის მზაკვრული თავდასხმით აღშფოთებული მუშები მოუთმენლად ელოდნენ იმ მომენტს, რომ გამოსულიყვნენ მიტინგზე და ყველასათვის გაეზიარებინათ თავიანთი აღშფოთება.

მუშაობის დაწყებამდე კიდევ საკმაო დრო იყო დარჩენილი, როცა მიტინგი გახსნეს. ინფორმაციით 22 ივნისს მომხდარი ამბების შესახებ გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. კ. ხოშტარია. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ფაბრიკის მოწინავე სტახანოველებმა — ეფემია ზუბრიევამ, მად. დონაძემ, ზ. ოგანეზოვმა, ა. მელიიანმა, ა. ყუშიტაშვილმა, ქ. მხითარიანმა და სხვ.

— სიტყვას ვაძლევთ საბჭოთა მთავრობას, პირადად დიდ **სტალინს,** — ნათქვამია მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით ჩვენი მთავრობის, **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის და ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** გარშემო, რათა წარმატებით შევასრულოთ მთავრობის ყოველგვარი დავალება.

— დაე იცოდნენ მტრებმა, რომ ვერ გაგვიძლებს ვერავითარი ციხესიმაგრე, რომ ჩვენი ძლევამოსილი შეიარაღებული ძალა ნაცარტუტად აქცევს ფაშიზმის სიმაგრეებს და საბოლოოდ გაანადგურებს კულტურული კაცობრიობის უსაზიზღრეს მტრებს — თავზე ხელაღებულ ფაშისტებს.

მიტინგის დამთავრებამდე შემოვიდა ფაბრიკის მუშა-ქალთა ერთი ჯგუფის კოლექტიური განცხადება, რომელშიაც ნათქვამია:

— გთხოვთ გვიშუამდგომლოთ, რათა ამ განცხადებაზე ხელმომწერი მუშა ქალები ჩარიცხულ იქნენ სახელოვან წითელ არმიაში მოხალისეებად.

მარიამ ლუკიანოვა, ა. მუზალიოვა, ეკატ. იბრაჰიმოვა, ელენე შერემეტიევა, ოლ. შარიადინა, ა. რუსანოვა, ჟ. ბალაბანოვა, ელ. კაზარნიცკაია და ა. ჟივალკინა.

კიდევ უფრო მტკიცედ დავირაზმებით დიდი სტალინის გარშემო

ისტორიას არ ახსოვს, რომ კაცობრიობასა და მის მაღალ იდეებს ისეთი გათავხედებული მტერი აღმოჩენოდეს, როგორიც ევროპის შავი ფაშიზმია. ისტორიას არ ახსოვს ბნელეთის ისეთი საზიზღარი გამოვლინება, როგორიც გერმანული ფაშიზმია. ამ ბნელმა ძალებმა თავისი მტაცებლური ბრჭყალები ჩვენი წმინდა საზღვრებისაკენ გადმოაწვდინეს, მაგრამ ჩვენ ქვეყანას ასეთი გიჟებისათვის უხვად გააჩნია დასამშვიდებელი პერანგები. ეს პერანგები საუკუნოდ ამშვიდებენ ასეთ თავზეხელაღებულებს.

როგორც სჩანს, გერმანელ ფაშისტებს მადა დიდი ჰქონიათ და ალბათ ამ დიდი მადის გამო თუ დავიწყნიათ ისეთი „წვრილმანი", როგორიც ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია, ავიაცია და ფლოტია. ამ მადის გამო მათ დავიწყებიათ ის გაკვეთილებიც, რომლებიც ასე დამაჯერებლად ასწავლა ჩვენმა დიადმა წითელმა არმიამ ზოგიერთ გათავხედებულ მეზობლებს. მათ დავიწყებიათ, რომ ჩვენი ქვეყანა მზის ქვეყანაა, დიდი სტალინის ქვეყანაა, და თურმე საჭირო ყოფილა, რომ ყოველივე ეს მათ ერთხელ კიდევ გავახსენოთ, გავახსენოთ ჩვენი სტალინური შევარდნების და ჩვენი უძლეველი წითელი არმიის გამარჯვების გუგუნით.

ჩვენი დიადი, თითქმის 200-მილიონიანი ლაღი ხალხი კიდევ უფრო მტკიცედ შემჭიდროვდება ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ, კიდევ მეტ სიდინჯეს და აუღელვებლობას გამოიჩენს, კიდევ უფრო ლაღად აafრიალებს სტალინური კონსტიტუციის მზით ანთებულ დროშას და მტერს მძლეთამძლე ყიჟინას დასცემს:

— სამშობლოსათვის! სტალინისათვის!

გაუმარჯოს ჩვენ ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

დემნა შენგელაია

ორდენოსანი მწერალი.

მტერი გასრესილი იქნება

23 ივნისს შესდგა თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი. მიტინგს ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შინაარსი გააცნო ქარხნის დირექტორმა ამხ. მ. სარქისოვმა.

მუშები აღშფოთებით შეხვდნენ ცნობას საბჭოთა კავშირზე გერმანიის ფაშისტთა ხროვის პროვოკაციული თავდასხმის შესახებ. სიტყვით გამოსულმა ი. ჩიყოვმა (ოსტატი), ს. მეტრეველმა (მეყალიბე) და ს. ბაბაიანმა (სალურსმნე საამქროს უფროსი) მკვეთრად გამოხატეს მუშათა მრისხანება და გულისწყრომა. მათვე მოუწოდეს ქარხნის კოლექტივს დაიცვას ორგანიზებულება, დისციპლინა და ყოველნაირად დაეხმაროს გმირულ წითელ არმიას ვერაგი მტრის საბოლოოდ გასრესაში.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„გერმანიის ფაშისტმა ქოფაკებმა ფეხქვეშ გასთელეს საერთაშორისო სამართლიანობა და თავხედურად დაარღვიეს ჩვენი დიდი ქვეყნის საზღვრების ხელშეუხებლობა. ამ უსაზიზღრესმა აქტმა მრისხანებით აღანთო საბჭოთა ქვეყნის ხალხები. ჩვენ დიდი ოქტომბრის რევოლუციით მოპოვებულ თავისუფლებას ვერავინ წაგვართმევს. ჩვენ ვიბრძოლებთ მტკიცედ, შეუპოვრად, მთელი სისასტიკით. სიმართლე ჩვენს მხარეზეა და მტერი გასრესილი იქნება".

მზად ვარ ავტომანქანიდან ტანკზე გადავიდე

თბილისის რაიონი, 23 ივნისი. თბილისის რაიონის მშრომელები უდიდესი აღშფოთებით შეხვდნენ ცნობას საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის სამხედრო ხროვის პროვოკაციული თავდასხმის შესახებ. კოლმეურნეობებში შესდგა სახელდახელო მიტინგები. მიტინგებზე გამოსულ კოლმეურნეთა სიტყვები ღრმა პატრიოტიზმით, სოციალისტური სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით იყო გამსჭვალული.

კუმისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიტინგზე, რომელსაც 350-ზე მეტი კაცი დაესწრო, მგზნებარე სიტყვით გამოვიდა კოლმეურნეობის შოფერი ამხ. რ. ოსიპოვი.

— ჩვენ, — განაცხადა მან, — არ გვსურდა ომი, მაგრამ ფაშისტური გერმანიის ბანდიტებმა იგი თავს მოგვახვიეს. დეე ასე იყოს! საბჭოთა კავშირის თვითეული მშრომელი უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლებს საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად. მტერი განადგურებული იქნება. ყოველ წუთს მზად ვარ ავტომანქანიდან ტანკზე გადავჯდე და წითელი არმიის რიგებში ვიბრძოლო მტრის გასანადგურებლად.

სიტყვას იღებს სტახანოველი კოლმეურნე ა. მდივანოვი. — გერმანიის ფაშისტური ხროვის მზაკვრულ თავდასხმას საბჭოთა ქვეყანაზე ჩვენ ვუპასუხებთ დიდი სტალინის ირგვლივ უფრო მჭიდროდ დარაზმვით, უფრო თავდადებული მუშაობით, მოკლე ვადებში, და უდანაკარგოდ ავიღებთ უხვ მოსავალს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეები: გ. ათაბეგოვი, ვ. არუთინოვი, ბ. მდივანოვი და სხვები. (საქდესი).

ვერაგული მტრის თავდასხმის პასუხად

22 ივნისს თბილისის ბერიას სახელობის რაიონის წარმოებადაწესებულებებში, კინოებსა და თეატრებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ელვის სისწრაფით მოედო ცნობა საბჭოთა კავშირზე გერმანიის ფაშისტების თავდასხმის შესახებ.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შემდგარ სახელდახელო მიტინგზე თავი მოიყარა 2 ათასამდე მშრომელმა. მიტინგი გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ორდენოსანმა ამხ. ა. ხორავამ. მშრომელებმა უდიდესი აღშფოთებით მოისმინეს გერმანიის ფაშისტი ბანდიტების მიერ სოციალისტური სამშობლოს მშვიდობიანი მოსახლეობის ბომბარდირების ამბავი.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „საბჭოთა ხალხი, გერმანიის ფაშიზმის მხეცური მოქმედებით აღშფოთებული, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ სტალინის გარშემო და გმირულად დაიცავს დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს, საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლოს—საბჭოთა კავშირს".

○

თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფის სახელდახელო ხალხმრავალ მიტინგზე სტახანოველმა ამხ. კირაკოზოვმა განაცხადა:

— საბჭოთა მშრომელები გერმანიის ფაშისტთა თავდასხმის პასუხად უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, რათა ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას მივცეთ მეტი ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ტანკები და თვითმფრინავები. მან ვალდებულება იკისრა 150 პროცენტით შეასრულოს საწარმოო დავალება.

○

სახელდახელო მიტინგები შესდგა აგრეთვე რუსთაველის სახელობის კინო-თეატრში, „ზარია ვოსტოკას" სტამბაში, ჰიგიენის სახლში, 26 კომუნარის სახელობის ბაღში, მოზარდ მაყურებლის თეატრში და პუშკინის სახელობის ბაღში. ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში ნათქვამია, რომ გერმანიის გამხეცებული ფაშიზმის თავდასხმის პასუხად საბჭოთა ქვეყნის თვითეული მოქალაქე გაათკეცებული ენერგიით იბრძოლებს თავის სამუშაო ადგილას, რათა უზრუნველჰყოს მეტი პროდუქციის გამოშვება და დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს სახელოვან მუშურ-გლეხურ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს დაუნდობელ მტერთან ბრძოლაში. (საქდესი).

სამშობლოს პატრიოტმა პ. შ. ცომაიამ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფაშისტური გერმანიის გამოლაშქრების საპასუხოდ, მიმართა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარიატს თხოვნით — გაგზავნონ იგი ფრონტის მოწინავე ხაზზე, რათა თავის შვილთან, წითელარმიელ კარლოსთან ერთად იბრძოლოს საბჭოთა კავშირის მტრების წინააღმდეგ.

სურათზე: პატრიოტი პ. შ. ცომაია (მარცხნივ) და მისი შვილი, თეთრფინელებთან გმირული ბრძოლების მონაწილე წითელარმიელი კარლო ცომაია.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

რუზველტის მიმართვა კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 22 ივნისი (საქდესი). თავის მიმართვაში კონგრესისადმი რუზველტმა განაცხადა, რომ იგი იძულებულია კონგრესის ყურადღება მიაქციოს გერმანიის წყალქვეშა ნავის მიერ 21 მაისს ატლანტის ოკეანის სამხრეთ ნაწილში ამერიკის გემ „რობინ მურის" შეუბრალებლად ჩაძირვაზე. გადარჩენილ პირთა ოფიციალური ჩვენების თანახმად, გემი ჩაძირულ იქნა პირველი გაფრთხილების 30 წუთის შემდეგ, რაც გემის კაპიტანს წყალქვეშა ნავის უფროსმა გადასცა. „რობინ მური" ჩაძირულ იქნა ისე, რომ წინასწარი ზომები არ მიუღიათ მგზავრებისა და კომანდის უშიშროების უზრუნველსაყოფად. გემი ჩაძირულ იქნა, თუმცა წყალქვეშა ნავის უფროსმა, როგორც ეს გამოირკვა, იცოდა, რომ გემი ამერიკას ეკუთვნოდა, რასაც აშკარად მოწმობდა დროშა და სხვა განმასხვავებელი ნიშნები. გერმანიის წყალქვეშა ნავის მიერ ამერიკის გემის ჩაძირვა წარმოადგენს ზღვებში ამერიკის გემების თავისუფალი მიმოსვლის უფლების აშკარა დარღვევას. სრული უგულებელყოფა, რაც გამოჩენილ იქნა საერთაშორისო სამართლისა და ადამიანობის ყველაზე ელემენტარული პრინციპების მიმართ,—განაგრძობდა რუზველტი, — საფუძველს გვაძლევს გემ „რობინ მურის" ჩაძირვა დავგმოთ როგორც საერთაშორისო უკანონობის აქტი. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გერმანიას პასუხისმგებლად სთვლის გემ „რობინ მურის" საზიზღარი, დაუსაბუთებელი ჩაძირვისათვის და გერმანიის მთავრობისაგან მოელის დანაკლისის, ამერიკის მოქალაქეებისათვის მიყენებული ზარალის სრულ ანაზღაურებას.

გერმანიის იმპერიის ახლანდელი ხელმძღვანელები, — სთქვა შემდეგ რუზველტმა, — არ მოერიდნენ სისასტიკის აქტების ჩადენას და უდანაშაულო და უმწეო ადამიანთა ტერორიზების მრავალი სხვა ფორმის განხორციელებას სხვა ქვეყნებში და, ალბათ, ჰფიქრობენ, რომ ტერორიზმის ეს მეთოდები ისეთ მდგომარეობას შეჰქმნის, რომელიც გერმანიის იმპერიას შესაძლებლობას მისცემს დაიმორჩილოს მის მსხვერპლად გამხდარი ქვეყნები. მაგრამ გერმანიის იმპერიის მთავრობას შეუძლია ეჭვი არ შეიტანოს იმაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ შეშინდებიან და არ დასთანხმდებიან მსოფლიო ბატონობის გეგმებს, რომლებიც, შესაძლოა, გერმანიის ახლანდელ ხელმძღვანელებს აქვთ. გერმანიის საერთო მიზანი, როგორც ეტყობა, არის ამერიკის ვაჭრობის განდევნა ოკეანიდან იმ შემთხვევებში, როცა ასეთ ვაჭრობას გერმანიის გეგმებისათვის არახელსაყრელად მიიჩნევენ, ხოლო მისი განსაკუთრებული მიზანი, როგორც ეტყობა, არის ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის შეწყვეტა ყველა იმ ქვეყანასთან, რომლებიც მათდამი მეგობრულად არიან განწყობილნი. გერმანიის იმპერიას განზრახვა აქვს შეაშინოს ამერიკის შეერთებული შტატები იმ მიზნით, რომ ხელი აიღებინონ მათ მიერ არჩეულ პოლიტიკაზე — დაეხმარონ ინგლისს, რათა მან გასძლოს. „მოკლედ რომ ითქვას, — განაცხადა დასასრულ რუზველტმა, — გემ „რობინ მურის" ჩაძირვა ჩვენ უნდა შევაფასოთ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების გაფრთხილება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიონ ნაციონალ-სოციალისტების მოძრაობას მსოფლიოს დაპყრობისათვის. ჩვენ გვაფრთხილებენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გაშლილი ზღვით სარგებლობა მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტების თანხმობით შეუძლიათ. თუ ჩვენ ამაში დავთმობდით, მაშინ მსოფლიოზე ბატონობას აუცილებლად გადავცემდით გერმანიის იმპერიის ახლანდელ ხელმძღვანელთა ხელში. ჩვენ არა ვთმობთ და არცა გვაქვს განზრახვა დავთმოთ".

ამერიკის შეერთებული შტატების სამინისტროს მოთხოვნა

ნიუ-იორკი, 21 ივნისი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ რუზველტს წინადადებით მიჰმართა მოითხოვოს, რათა კონგრესმა ნება დართოს ნაციონალური გვარდიის წევრები ერთი წლის სამსახურის მოხდის შემდეგ არმიიდან არ დაითხოვონ. სამხედრო სამინისტროს აზრით, საჭიროა, რათა კონგრესმა მოიწონოს კანონი არმიაში ნაციონალური გვარდიის იმ 290 ათასი წევრის დატოვების შესახებ, რომლებიც 1940 წლის 16 სექტემბრიდან იმყოფებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში და რომლებიც დემობილიზებულ უნდა იქნან სექტემბერში. მოქმედი კანონების მიხედვით, ნაციონალური გვარდიის წევრები ნამდვილ სამსახურში უნდა იქნენ არა უმეტეს 15 დღისა წელიწადში, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა კონგრესი ამერიკის შეერთებულ შტატებში საგანგებო წესებს გამოაცხადებს. გასული წლის სექტემბერში კონგრესმა რუზველტის მოთხოვნით მოიწონა კანონი ერთწლიანი მომზადების შესახებ. როგორც ჰფიქრობენ, რუზველტი დაუყოვნებლივ მოითხოვს, რათა კონგრესმა მოიწონოს კანონი არმიაში ნაციონალური გვარდიის წევრების დატოვების შესახებ.

ინგლისის მანქანათმშენებელი მუშების ტრედუნიონის ყოველწლიური კონფერენცია

ლონდონი, 21 ივნისი (საქდესი). ინგლისის მანქანათმშენებელი მუშების გაერთიანებული ეროვნული ტრედუნიონის კონფერენციამ (რომლის სხდომებიც ჩრდილოეთ უელსში, ლანდიდნოში მიმდინარეობს) გადასწყვიტა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება მეწარმეებთან ქალთა შრომის შესახებ 1940 წელს დადებული შეთანხმების შეცვლის თაობაზე. კონფერენციამ დაადგინა მეწარმეებს წარუდგინოს მოთხოვნა, რათა მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოთა მუშა ქალები, 32 კვირის გამოსაცდელი ვადის შემდეგ, მამაკაცთა თანაბარ საზღაურს იღებდნენ თანაბარი შრომისათვის.

ინგლისის შრომის სამინისტროს საპარლამენტო მდივნის გამოსვლა

ლონდონი, 21 ივნისი (საქდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, შრომისა და ეროვნული ვალდებულების სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა რალფ ეშტონმა ნოტინჰემში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: ამ უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში ინგლისის მთავრობამ არმიისა და სამხედრო-საჰაერო ძალთა დამხმარე ნაწილებში 10 ათასი ქალი უნდა ჩააბას. ქალები სხვადასხვა მოვალეობას შეასრულებენ მძიმე საზენიტო არტილერიის ბატარიებში. თვითეულ ასეთ ბატარიაში დაახლოებით 200 კაცი იმუშავებს. შერეული ბატარიების პირად შემადგენლობაში ნახევარი ქალები იქნებიან. ქალებს ამუშავებენ როგორც რადიოოპერატორებს, ზვერათმჭვრეტთა და სიმაღლის გამოსარკვევი ხელსაწყოს მომსახურე პერსონალს, აგრეთვე როგორც სანიტარული და სხვა ავტომობილთა შოფერებს.

შვედური გაზეთი ფინეთში არსებული პოლიტიკური განწყობილების შესახებ

სტოკჰოლმი, 22 ივნისი (საქდესი). შვედური გაზეთი „არბეტარენი" სტატიაში, რომელიც ეხება ფინეთში არსებულ პოლიტიკურ განწყობილებას, სწერს: „ჩვენ მუდამ გვარწმუნებდნენ, ფინეთში ხალხის ერთიანობა სუფევსო. ნამდვილად კი სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი ფინეთში არასოდეს არა ყოფილა ესოდენ დიდი, როგორც ახლა არის. სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეებში უკმაყოფილებაა. ამის მაგალითია ისა [...] თავისუფალ ჟურნალისტად ყოფნა ადვილი როდია. ჩვენ სრულიად წარმოუდგენელი მოვლენების მოწმენი ვიყავით, მაგრამ ამაზე არც ლაპარაკი და არც წერა არ შეგვეძლო". „ვირტანენი, — სწერს შემდეგ გაზეთი „არბეტარენი", — დაჟინებით მოითხოვდა მიეღოთ ზომები ფინეთში ნაციონალ-სოციალისტური პროპაგანდისა და „მეხუთე კოლონის" მოქმედების წინააღმდეგ. ამ ცოტა ხნის წინათ მან განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი [...]

გერმანელმა ოკუპანტებმა დაამშიეს ბელგიელი ხალხი

ლონდონი, 22 ივნისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების სამინისტროს ცნობით, ბელგიის მოსახლეობა მძიმე სასურსათო დაბრკოლებებს განიცდის. ამის მიზეზი ის არის, რომ ბელგიიდან გაიტანეს სურსათ-სანოვაგე გერმანიის საოკუპაციო ჯარის მოსამარაგებლად. სურსათ-სანოვაგის გაცემის ნორმები ძალიან მცირეა და ომამდელი მოხმარების მხოლოდ მეოთხედ ნაწილს შეადგენს, მაგრამ მოსახლეობას ხშირად არც იმას აძლევენ, რაც ამ უმნიშვნელო ნორმების მიხედვით ერგება.

ბელგიის მრეწველობა იძულებულია შეასრულოს გერმანიის დაკვეთები და ამიტომ [illegible] სხვა ქვეყნებში მარცვლეულის შესყიდვის შესახებ ჩაიშალა, რადგან ბელგიას არ მოეპოვება საქონელი, რათა მიაწოდოს ამ ქვეყნებს მარცვლეულის ნაცვლად. ამავე დროს სამრეწველო საქონელი ბელგიისათვის ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც იხდის უცხოეთიდან შემოტანილი სურსათ-სანოვაგის საფასურს.

გაფიცვები და დემონსტრაციები ბელგიაში

ვიში, 22 ივნისი (საქდესი). ჟურნალისტთა წრეებში იუწყებიან, რომ ამ ბოლო დროს მთელს ბელგიაში გაძლიერდა მღელვარება, რაც გამოწვეულია მძიმე დაბრკოლებებით მომარაგების საქმეში და გერმანელი ოკუპანტების მიერ შემოღებული რეჟიმით. უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდება. საგაფიცვო მოძრაობა მთელს ბელგიას მოედო. იუწყებიან, რომ გაფიცვა დაიწყო ცენტრისა (ქალაქი ლუვიერი) და ბორინაჟის ქვანახშირის რაიონში, აგრეთვე ბრიუხელის მეტალურგიულ ქარხანაში. წინასწარი ცნობებით, მაისში გამართულ გაფიცვებში მონაწილეობას იღებდა 125 ათასი მაღაროელი, ფეიქარი, მეტალურგი და სხვა მუშები. ამას წინათ ბრიუსელში გაიმართა ქალთა დემონსტრაცია. ქალთა დელეგაცია გაემართა სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან იმისათვის, რომ გადაეცა ქალთა მოთხოვნა ბავშვთა და დედათა კვების გაუმჯობესების შესახებ. დელეგაციას ახლდნენ ქალთა ჯგუფები, რომლებსაც ქუჩებში შეუერთდნენ სხვა ქალებიც. ხალხში გაისმოდა შეძახილები მოგვეცით პური, კარტოფილი!". იუწყებიან, რომ ქალების ასეთივე დემონსტრაცია გაიმართა ანტვერპენში. მსვლელობაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ასეული ქალი. ქალები შეიკრიბნენ ქალაქის სამმართველოსთან და პურს მოითხოვდნენ.

მსახიობთა დაპატიმრება ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 22 ივნისი (საქდესი). როგორც შვედური გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი" იუწყება, ოსლოს ყველა თეატრის მსახიობთა ამასწინანდელ გაფიცვასთან დაკავშირებით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბევრ ნორვეგიელ მსახიობს სამუდამოდ აუკრძალეს სცენაზე გამოსვლა. გაზეთ „სოციალ-დემოკრატენის" ცნობით, დაპატიმრებული არიან ნორვეგიელი მსახიობები ლეიფ იუსტერი, როლფ კრისტენსონი, გეორგ ლექებერგი, ლასე სეგელკე და სხვები. გაზეთი „აფტონბლადეტი" აღნიშნავს, რომ ნორვეგიის მსახიობთა კავშირის გადაწყვეტილება მსახიობთა გაფიცვის შესახებ გამოწვეული იყო ხელისუფალთა რეპრესიებით ხელოვნების მუშაკთა წინააღმდეგ, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოსულიყვნენ რადიოთი და ნორვეგიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მიერ გამართულ საღამოებზე.

გერმანიის ხელისუფალთა რეპრესიები ნორვეგიელი საზოგადო მოღვაწეების წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 22 ივნისი (საქდესი). შვედური გაზეთები იუწყებიან, რომ ოსლოში დააპატიმრეს მთელი რიგი ცნობილი ნორვეგიელი მოღვაწენი. დაპატიმრებული არიან: ნორვეგიის პროფკავშირთა ხელმძღვანელი ბულანდი, ექიმთა გაერთიანების გენერალური მდივანი ბერნერი, კომუნალური მეურნეობის მუშათა პროფკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ჰენრიქსენი, ცნობილი ნორვეგიელი მწერალი ევერლანდი და მრავალი სხვა. ჰფიქრობენ, — აღნიშნავენ შვედური გაზეთები, — რომ დაპატიმრებულია 60-ზე მეტი კაცი. დაპატიმრების საბაბი შეიქნა ნორვეგიის 44 საზოგადოებრივი ორგანიზაციის პროტესტი ნორვეგიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და გერმანიის საოკუპაციო ხელისუფალთა ტერორისტული მოქმედების წინააღმდეგ. დაპატიმრებულთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა აღნიშნულ პროტესტს, რომელიც გერმანიის ხელისუფალთ გაეგზავნა.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" რუმინეთში უპურობით გამოწვეული ამბოხის შესახებ

ნიუ-იორკი, 22 ივნისი (საქდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ბუქარესტელი კორესპონდენტი იუწყება, რომ სოფლებში და ბუქარესტში ამას წინათ უპურობის ნიადაგზე ბევრგან ამბოხი მოხდა. მოსახლეობა მოითხოვდა, რათა რუმინეთის მთავრობას გაეუქმებინა დეკრეტი, რომლითაც კვირაში ორ დღეს აკრძალულია ხორბლის პურის მოხმარება.

გაფიცვა რუმინეთის ნავთსარეწებში

ბუქარესტი, 22 ივნისი (საქდესი). პრახოვის ველის ნავთსარეწებში (პლოეშტის რაიონი) ამ ცოტა ხნის წინათ ნავთის მრეწველობის მუშების დიდმა გაფიცვამ იფეთქა. მუშებმა ხელფასის მომატება მოითხოვეს.

უმუშევრობა ესპანეთში

ვიში, 22 ივნისი (საქდესი). ესპანური გაზეთი „არიბა" იუწყება, რომ ანდალუზიაში უამრავი უმუშევარია. გაზეთს მაგალითისათვის მოჰყავს ერთი რაიონი, სადაც 36 ათასი მცხოვრებია. 7 ათას ოჯახს, ე. ი. ამ რაიონის მოსახლეობის უმრავლესობას, სრულიად არა აქვს მიწა, ისინი მოკლებული არიან სამუშაოს და შიმშილობენ.

სურსათით სპეკულაციის ზრდა იტალიაში

რომი, 22 ივნისი (საქდესი). სურსათის ნაკლებობა და პროდუქტებით ფართო სპეკულაცია იტალიაში იმდენად საშიში გახდა, რომ, პრესის უამრავი ცნობების მიხედვით, სასამართლოს კამერები სავსეა სპეკულაციის შესახებ საქმეებით. „ვაჭრობის კანონების დარღვევისათვის" რომში დახურეს 32 მაღაზია და 5 რესტორანი. ლივორნოში დახურულია 10 მაღაზია. რძის პროდუქტებით მოვაჭრე მთელი რიგი დუქნები და მაღაზიები დახურულია ტურინში, მილანში, ფლორენციაში. ყველა ამ მაღაზიის პატრონები სამართალში არიან მიცემულნი. ტრიესტში აღმოაჩინეს დიდი სპეკულაცია, კონფისკებულია 2 მილიონი კვერცხი. მილანში სამართალში მისცეს ერთი ვაჭარი, სამხედრო მასალის მიწოდების დროს თაღლითობის ჩადენისათვის. იტალიური გაზეთები აღნიშნავენ, რომ ხშირად სპეკულაციაში მონაწილეობენ ფაშისტური პარტიის წევრები.

გაზეთებში შიშს გამოსთქვამენ აგრეთვე საქონლის ფარული დაკვლის მრავალ შემთხვევასთან დაკავშირებით.

სიგნალიზაცია ცეცხლგამჩენი ყუმბარების აღმოსაჩენად

ინგლისის ელექტრიკოს-ინჟინერთა საზოგადოებამ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წარუდ[...] ტემპერატურის ცოტათი აწევისას განრთავენ ელექტრულ სასიგნალო [...]

თეატრის გასტროლები თბილისში

სპექტაკლ „გუშინდელნის" წარმატება

22 ივნისს გრიბოედოვის თეატრის სცენაზე ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, ორდენოსანი დრამატურგის შ. დადიანის სამმოქმედებიანი კომედია „გუშინდელნი".

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო და პიესის შემსრულებლები ოვაციებით დააჯილდოვა.

მთავარ როლებს ასრულებდნენ საქ. სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ც. ამირეჯიბი (ჩიტუნია), შ. ხონელი (კოწია), ვ. ჩხიკვაძე (პაპუნა) და ა. მურუსიძე (მალხაზი), არტისტები ქ. აბესაძე (ჯიბო), გ. ნაცვლიშვილი (გრენგოლმი) და სხვ.

უახლესი კონსტრუქციის ქრონომეტრი

მოსკოვის კიროვის სახელობის პირველმა სახელმწიფო საათის ქარხანამ პირველად აითვისა და სერიულ წარმოებაში გადასცა ორიგინალური კონსტრუქციის ქრონომეტრი. ეს სათანადო საათის ხელსაწყოა, რომელიც უზრუნველჰყოფს დროის უზუსტეს განსაზღვრას. სადღეღამისო სვლის სიზუსტე უდრის 4 წამს, საშუალო გადახრა — 0,3 წამს.

ქრონომეტრი თავის ხარისხით აკმაყოფილებს უაღრესად მაღალ მოთხოვნებს, რომლებსაც ანალოგიურ საიმპორტო ხელსაწყოებს უყენებენ. ქრონომეტრი წარმატებით შეიძლება გამოიყენონ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა, ლაბორატორიების, სამდინარო და საზღვაო ფლოტის მუშაობაში.

ქამანიანი ინსტრუმენტების ახალი ფაბრიკა

[...] გასტროლები

თბილისის მუსკომედიის თეატრმა 3 ივნისს გასტროლები დაიწყო ტყიბულში. 15 ივნისამდე თეატრმა გამართა 15 სპექტაკლი. სარაიონო ცენტრში გაიმართა 3 წარმოდგენა, დანარჩენი — მაღაროებში. მიუხედავად იმისა, რომ თეატრს უხდებოდა მუშაობა მცირეტევადობიან კლუბებში, 12 დღის განმავლობაში მან 8000-მდე მაყურებელს გაუწია მომსახურება. ტყიბულელმა მაღაროელებმა თეატრი გულთბილად მიიღეს. ყველა სპექტაკლი წარმატებით ჩატარდა.

ამჟამად თეატრი მუშაობს ქუთაისში, სადაც პირველი წარმოდგენა 17 ივნისს შესდგა. ქუთაისშიც თეატრი წარმატებით სარგებლობს. გარდა საქალაქო საზაფხულო დარბაზისა, მუსკომედიის თეატრი პარალელურ სპექტაკლებს მართავს მუშათა კლუბებში. განზრახულია გამსვლელი წარმოდგენების ჩვენება მახლობელ კოლმეურნეობებში (გეგუთი და სხვ.), თუ რაიონის ხელმძღვანელობა და კოლმეურნეობები თეატრს უზრუნველჰყოფენ ტრანსპორტით.

თეატრი ქუთაისში იმუშავებს 20 აგვისტომდე, შემდეგ წარმოდგენებს გამართავს ლანჩხუთში, მახარაძეში, ბათუმსა და სოხუმში.

ამჟამად მუსკომედიის თეატრი ამზადებს კალმანის ცნობილ ოპერეტას „სილვას", რომლის პრემიერა შესდგება მოგზაურობაში. თბილისის მაყურებელს თეატრი „სილვას" უჩვენებს შემოდგო[...]